



# საბუნებისმეტყველო

საქართველოს  
საბუნებისმეტყველო  
მეცნიერებათა  
აკადემია

სახელმწიფო  
ბაზრის  
1931—31



# პ ი ო ნ ე რ ი

# № 10

31 მაისი  
1931  
წელიწადი მე-6  
რედაქციის მისამართი:  
ტფილისი, რუსთაველის პრ.  
№ 22.  
სახელგამი,  
საბჭოთა სემსია

კომუნარების და მოსწავლეთა საზოგადოებრივ-  
ლიტერატურული ჟურნალი.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და  
განათლების სახალხო კომისიების სოციალური  
ალყრდის მთავარმართებლობის ჟურნალი—გაფშ-  
თათვის.

# ვინ როგორ დაუვაზა მოსვლას?

**წითელი ღაფა**

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.

**შავი ღაფა**

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.

## საქართველოს ალკა ცეკას დაღმენილება

### ბორჯომის ბოთლების შეგროვების თვიურის ჩატარების შესახებ

ვინაიდან მიმდინარე წელს „ბორჯომ-  
წყალმა“ უნდა გამოუშვას 18.000.000 ბოთ-  
ლი ბორჯომის წყალი, ხოლო ბორჯომის  
მინის ქარხანას არ ძალუძს ამდენი ბოთლის  
დამზადება, საქართველოს ალკა ცეკა, საქ.  
კ(ბ) ცეკას 1931 წლის 1 აპრილს დადგე-  
ნილების შესასრულებლად ედგენს:

1. 10 მაისიდან 10 ივნისამდე ჩატარდეს  
ბორჯომის ბოთლების შეგროვების დამ-  
კვერელი თვიური დაახლოებით 10.000.000  
ბოთლის შესაგროვებლად.

2. ბოთლების შეგროვების ორგანიზაციის  
ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს  
ბკო ბიუროს, მიეცეს მას წინადადება უახ-  
ლოეს დღეებში უზრუნველყოფის პიონერო-

ამ თვიურის დაკრითი წესით ჩასატარებ-  
ლად. რისთვისაც ადგილებს უნდა მისცეს სა-  
თანადო დირექტივები.

3. დამტკიცდეს ბკო ცენტრალურ ბიუროს  
და ტფილისის ბკო ბიუროს მიმართვა ამიერ  
კავკასიის პიონერებისა და მოწაფეებისადმი.

4. ეთხოვოს სომხეთისა და აზერბაიჯან-  
ის ცეკას—უოველგვარი დახმარება აღმოუ-  
ჩინოს პიონერორგანიზაციისა და სკოლების  
მოზილიზაციას ბოთლების შესაგროვებელ  
ერთთვიურში ინტერნაციონალური დახმა-  
რების წესით მონაწილეობის მიღების საქ-  
მეში.

წინადადება მიეცეს საქართველოს ალკა  
ცეკა კომიტეტსა და უზრუნველ უზრუნ-

ბისა და სკოლებისათვის დახმარებისა და  
ხელმძღვანელობის გაწევა მოცემული და-  
ვლების შესრულებაში.

6. „ბორჯომწყალთან“ ერთად შეიქმნას  
საპრემიო ფონდი—1.500 მანეთი საქართვე-  
ლოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის პი-  
ონერორგანიზაციებისათვის პრემიების მისა-  
ცემად.

7. ბორჯომის ბოთლებით შეგროვებით  
აღებული ფული შეტანილ იქნეს პიონერ-  
ბანაკების მოსაწყობ ფონდში.

8. ეთხოვოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის  
დირექციას უზრუნველყოფის ბოთლების გა-



# საქ. ბ. კ. ო. ცენტრ. ბიუროს 1 კლენუ- მის შედეგები

საკავშირო კომკავშირის მე-9 და საქ. კომ. კავშირის მე-10 ყრილობებმა აღნიშნეს, რომ ბავ. კომ. ორგანიზაციამ პიონერთა საკავშირო შეკრებების შემდეგ განვლო გზა მდიდარი თავისი შინაარსით. ვიწრო და ნახევრად კარჩაკეტილი მუშაობიდან იგი გავიდა ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის ფართო გზაზე.

ამოცანები, რომლებიც დღეს დასმულია პიონერ-ორგანიზაციის წინაშე მოითხოვენ მისი ძალღონის მაქსიმალურად მობილიზაციას და მუშაობის ტემპების საგრძნობლად გაძლიერებას.

რამდენიმე კვირის წინეთ დასრულდა საქ. ბ. კ. -ო ცენტრ. ბიუროს 1-ლი კლენუმი, რომელიც თავის მუშაობაში შეესბო ბ. კ. მოძრაობის იმ უმთავრეს მომენტებს, რომლებიც დასმულია პიონერ-ორგანიზაციის წინაშე პარტიისა და კომკავშირის მიერ.

პიონერთა და ბავშვთა მოსახლეობის გამაჯანსაღებელ მუშაობის დარგში პლენუმმა აღნიშნა, რომ გააჯანსაღების იმ ფორმები, რომლითაც აქამდე სარგებლობდა ბ. კ. ორგანიზაცია არ არის საკმარისი და საჭიროა მუშაობის ახალი ფორმების გამოყენება (ბანაკი-სანატორიუმი, გასამხედროებელი ბანაკი, გამაჯანსაღებელი მოედნები, მომთაბარე ბანაკი, წყლის სპორტი, საექსკურსიო ბაზები და სხვ.) ბანაკის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საკითხის შესახებ პლენუმმა დაადგინა, რომ ბანაკების მოწყობა უნდა დაეფუძნოს საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებს, ხოლო კომკავშირმა უნდა ითაოს მათი აკრებვა და პოლიტიკურ-აღმწერლობითი მუშაობის წარმოება.

აუცილებლად საჭიროდ იქნა ცნობილი ოქტომბრული და შეუკავშირებელი ბავშვთა ჩაბმა საზაფხულო გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში. ბანაკად დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითი, პოლიტიკურ - აღმწერლობით, კულტურულ - მასიურ მუშაობის წარმოებას.


საზაფხულო გამაჯანსაღებელი დაწესებულებები უნდა გახდეს საბჭოთა და კოლმეურნეობათა რგოლად და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში

პლენუმმა აღნიშნავს რა ფართო საზოგადოებრივობის სუსტ მონაწილეობას გამაჯანსაღებელ მუშაობის დარგში, მოითხოვა მომავალში მისი გაძლიერება.

დღის წესრიგში დასმული იყო აგრეთვე საკითხი პროკაპიშირების მიერ ბავშვთა შორის მუშაობის შესახებ. პლენუმმა აღნიშნა რომ მიუხედავად პარტიის და კომკავშირის სათანადო რეგულირებისა ბავ. შორის მუშაობის გაძლიერების შესახებ, პროკაპიშირთა მთელი რიგ რგოლებში ადგილი აქვს ამ დარგში მუშაობის დაუფასებლობას, რაც უნდა მიჩნეულ იქნას როგორც მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრის გამოაშკარაება პრაქტიკაში.

პლენუმმა საჭიროდ სცნო:

პროფესიონალურ ორგანიზაციებმა პიონერ-რაზმები და სკოლები უნდა განადგონ წარმოების საზოგადოებრივ ძალების ნაწილად საწარ-საფინ. გეგმისთვის ბრძოლის საქმეში. პიონერებმა უნდა იბრძოდნენ სოც-შეჯიბრის და დამკვრელობის გაძლიერებისათვის, სოციალისტური რაციონალიზაციისათვის, პროდუქციის ხარისხისათვის და სხვ. პროფკავშირები მეტის ყურადღებით უნდა მოეპყრან სკოლის პოლიტექნიკის სა-



გიგანტი. ურალ-კუნეციის კომბინატის მშენებლობა

კითხს. სკოლა უნდა გახდეს ქარხნის, საბჭოთა და კოლმეურნეობის ნაწილად. უნდა განმტკიცდეს ბრძოლა საყოველთაო დაწყებითი სწავლისათვის და გაძლიერდეს პროფკავშირთა კულტურულ - მასიური მუშაობა ბავშვთა შორის.

პიონერ-ორგანიზაციის გასამხედროების დარგში პლენუმმა აღნიშნა მუშაობის სისუსტე და საჭიროდ სცნო მომავალში მისი განმტკიცება თავდაცვა - ავიაციის და წითელ არმიის დახმარებით. პიონერ-აქტივის მომზადების მიზნით ჩატარებულ იქნეს გასამხედროებული ბანაკი.

ტენიკის დაუფლების და სკოლის პოლიტექნიკის დარგში პლენუმმა აღნიშნა, რომ პიონერ - ორგანიზაციამ უნდა გასწიოს სათანადო მუშაობა ტენიკის შემსწავლელ ბრიგადებში ჩაბმის მიზნით. პიონერებმა უნდა დადგან სოცხელშეკრულება მშობლებ-


თან, საამქრობთან და მუშებთან მასში სა-ვალდებულო მუხლის შეტანით— ტენიკის შესწავლის შესახებ.

ბავშვთა ტენიკური სადგური მჭიდროდ უნდა შირში უნდა იქნეს ჩამოყალიბებული. ტენიკურ-ნიხებიანი სკოლაში და პიონერ-რაზმში მუშაობის გაძლიერების მიზნით, სადგურმა მობილიზაცია უნდა უყოს ბავშვთა მასებს შრომისა და ტენიკის დაუფლებისათვის და სუთწლებლის ოთხ წელში შესრულებისათვის. მუშაობაში გამოყენებული იქნეს სოც-შეჯიბრი და დამკვრელობა, პიონერ - ორგანიზაცია მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს წარმოების ცხოვრებას, ხელი უნდა შეეწყოს ბავშვთა გამომგონებლობას. პლენუმმა დაავალა სასოფლო-სამეურნეო და ტენიკურ სადგურებს სპეციალურ ფურცელის გამოცემა, სადაც უნდა გაშუქდეს მიღწევები და ნაკლები მუშაობის ამ ფრონტზე. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ელექტროფიკაციის საკითხებს.

პლენუმმა მიიღო აგრეთვე ღონისძიებანი პიონერთა სასოფლო-სამეურნეო მუშაობის დარგში. ღონისძიებები მიუთითებენ ბ. კ. -ო ფართო მასების საბჭოთა და კოლმეურნეობრივ მოძრაობის განმტკიცებისათვის ბრძოლის საჭიროებაზე, საბჭოთა და კოლმეურნეობათა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საწარმოო გეგმებისათვის ბრძოლაზე, კოლმეურნეობებში კულტ-განმანათლებელ მუშაობის განმტკიცებაზე და სხვ. ფართოდ უნდა გადიშალოს ბავშვთა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ქსელი. დარაზმულ უნდა იქნეს პიონერთა ყურადღება სოფლის მეურნეობის მანქანიზაციისა და აგრონომიის საკითხების ირგვლივ. ამასთან ერთად პიონერ-ორგანიზაციამ უნდა ითავოს შეფოხა სამანქანო-სატრაქტორო სადგურ, და სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე. პიონერებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ტენიკურ კულტურების განვითარების საქმეში.

პლენუმმა ჩაატარა აგრეთვე სექციური მუშაობა, რომელზედაც დამუშავებულ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა.

საქ. ბ. კ. -ო ცენტრალურ ბიუროს თავმჯდომარე პ. ჩალპკმ.



პიონერები ამზადებენ გემის მოდელს





ჩვენი პარტიისა და მუშათა კლასის ძალად იქითკენ არის მიმართული, რომ ხუთწლითის მესამე წელს დამთავრდეს საბჭოთა კავშირის ეკონომიკის სოციალისტური საფუძვლის აყენება.

ქალაქის პროლეტარული ბავშვები, პიონერაზმებში გაერთიანებულნი, რომელნიც აქტიურად ეხმარებიან პარტიას საკონტროლო ციფრების შესრულებაში ბანაკად ყოფნის დროს არ შეიძლება განზე დარჩენ სოციალისტური მშენებლობისაგან.

თუ წასულ წლებში ბანაკად ყოფნის დროს ვკმაყოფილდებით საზოგადოებრივ სასარგებლო შრომით, რაც გამოიხატებოდა სოფლის სამეურნეო ცხოვრებისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევაში, დღეს კიდევ უფრო მეტად საჭიროა ჩვენი მუშაობის და სისტემის გადახალისება იმ ამოცანებთან შეფარდებით, რომელიც ამჟამად სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას ეხება. აქედან ცხადია, რომ ამასთან შეფარდებით უნდა შეიძინოს საბანაკო ადგილიც. ბანაკი უნდა წარმოადგენდეს არა მარტო ქალაქილი ბავშვების დამკვირვებელი ბრიგადის სოფლის დასახმარებლად გამზადებულს, ამასთანავე ერთად ის უნდა ვადაიქცეს პოლიტიკური მუშაობის ჩამოყალიბებელ ცენტრადაც, რომელიც თავის გარშემო ბავშვების შემოკრებით შესძლებს მშრომელ გოგებთან მასების დარაზმვას, პარტიის ამოცანების წარმატებით შესრულებას.

აქედან ცხადია, რომ პიონერების მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს გაშლილ მასიურ საკოლმეურნეო მოძრაობას, ბრძოლა კოლმეურნეობებში ღარიბი და საშუალო გლე-

ხობის მასიურად შემოკრებისათვის. აი ეს არის წელს საბანაკოდ მიმავალი პიონერაზმების წინ მდგომი ძირითადი და მთავარი ამოცანა. ათეული ახალი კოლმეურნეობანი, ათასი ახალი კოლმეურნე, აი რა უნდა მოყვეს შედეგად საბანაკო მუშაობას. ამით ჩვენ უნდა შევასრულოთ 1931 წლის საბრძოლო ამოცანა: ამიერკავკასიაში კოლმეურნეობაში მშრომელი გლეხების 25 პროც. შემოკრება. ზემოთთქმულთან დაკავშირებით გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ბანაკთან ახლო მდებარეობას. ამიტომ საჭიროა ადგილის წინასწარი შერჩევა. საკოლმეურნეო და ტრაქტორცენტრის წინ დროულად უნდა დაისვას პიონერბანაკებისათვის ყოველსაბჭოთა დახმარების გაწევის საკითხი, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი კოლმეურნეობებსა, საბჭოურნეობებს და სამანქანო-სატრაქტორო სადგურებში გამგზავრება.

სოციალისტური ხელშეკრულებით მიწსახკომისა და პიონერორგანიზაციის მიერ თავის თავზე აღებული სახელმწიფო დავალებანი უნდა გახდეს პრაქტიკული სამეურნეო მუშაობის განუყოფელი ნაწილი, რა საც პიონერები ბანაკობისას გაატარებენ.

მშრომელთა პოლიტიკური და კულტორული დონის აწევა საგრძნობლად აჩქარებს ტემპებს და აუმჯობესებს სოცმშენებლობის მუშაობის თვისებას—ეს ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხია სოფლათ. ამავდროს კი პიონერთა მთელი არმია, რომელშიაც მრავალი პიონერკომკა-



## პიონერები სამეცნიერო სახელოვნოში

გვირეცი ურეცია, ბანაკობისას საგრძნობი პოლიტიკურ კულტურული ძალა იქნება. ამიტომ უნდა დაისვას ბანაკად მიმავალ პიონერკომკავშირების უმთავრეს ამოცანად, რომ პარტიის და კომკავშირის უჯრედებს დაეხმარონ და მოჯამაგირებდეს; ღარიბ გლეხებს, კოლმეურნეებს და საშუალო გლეხებს გააცნონ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის ელემენტარული პოლიტიკური საფუძვლები. ამისათვის საჭირო იქნება ბანაკად წასვლამდე პიონერაზმებში გამოკონ ამ სამუშაოზე პოლიტიკური, ბრიგადა კარგად დამუშავებული მასალებით.

კოლმეურნეთა ბავშვების პიონერაზმებში შემოკრება ერთ უმთავრეს ამოცანათაგანს წამოადგენს. ბანაკობის დროს ბევრი რაზმი ყალიბდება სოფლად. მაგრამ ხშირია ასეთი შემთხვევაც: ბანაკობიდან პიონერებსა ქალაქად დაბრუნების შემდეგ ადგილობრივი რაზმების დაშლა. მაშასადამე, საქმე არა მარტო რაოდენობაშია, არამედ თვისებაშიც მდგომარეობს და ამიტომ საჭიროა რაზმების ჩამოყალიბებისთან ერთად მათი გამაგრებაც, რისთვისაც აუცილებელია ბანაკობის დროს ადგილობრივი ხელმძღვანელი ამხანაგების მომზადება.

აქედან ცხადია, რომ წრიგოლს თითოულმა ბანაკის ხელმძღვანელმა უნდა აიღოს თავის თავზე შემდეგი მოვალეობა: ადგილობრივი კომკავშირობიდან მოამზადოს ორი-სამი ხელმძღვანელი, რომლებსაც ადგილობრივი კოლმეურნეობის კომკავშირის უჯრედი გამოკითვენ.

ქალაქის პიონერობმა უნდა გადასცინ სოფლის პიონერებს თავისი საწარმოო და პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება, რაც მათ თავის ფაქრიკა-ქარხნებში აქვთ შეძენილი. ამგვარათ ქალაქის პიონერთა გამოცდილებით შეიარაღებული ადგილობრივ პიონერაზმები უფრო წარმატებით შესძლებენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში აქტიურ მონაწილეობას.



ბანაკად გასული პიონერები ვარჯიშობენ



საბანაკოდ მყოფმა რაზმებმა ყუ-  
რადღება უნდა მიაქციონ ჩვენი პარ-  
ტიისა და ხელოსნოების სწორი  
დირექტივების დამანახევებას, რომ-  
ლებიც ადგილებზე იქნება დაშვებუ-  
ლი.

ამიტომ პიონერაზმების საბანაკო  
მსიური გამგზავრება კოლმეურნე-  
ობის რაიონებში უნდა გამოყენებუ-  
ლი იქნეს პარტიისა და ჩვენი ხელი-  
სუფლების დირექტივების სოფლად  
ცხოვრებაში სწორად ვატარების მა-  
ს. ურად შემოწმებისათვის.

ორგანიზაციულად დარაზმული ბა-  
ვშობა, პიონერები საბანაკოდ ყოფნის  
პერიოდში უნდა გახდეს პარტიისა  
და ხელოსნობის მსუბუქი კავალე-  
რისტები, რითაც ისინი ხელს შეუწყ-  
ობენ მუშაგლეხებს, პროლეტარული  
კონტროლის განმტკიცებას.

სოციალისტური მშენებლობის ასე-  
თი გამარჯვება იწვევს სიკვდილის პი-  
რზე მდგომი კაპიტალიზმის სიბრახეს  
და აახლოებს მსოფლიო პროლეტარ-  
ული რევოლუციის გამარჯვების  
საათს. ჰაერში თოდის წამლის სუნია.  
მთელ საბჭოთა კავშირის მშრომელი  
კლასი კომუნისტური პარტიის ხელმძ-  
ღვანელობით ემზადება თავდაცვისა-  
თვის. პიონერებს არ შეუძლიათ მო-  
ნაწილეობის გარეშე დარჩენა ქვეყ-  
ნის თავდაცვის საქმეში. ამისათვის  
კი საჭიროა გასამხედროების მუშაო-  
ბის გაძლიერება. რაც დღემდე ძა-  
ლიან სუსტად წარმოებს სოფლად.

პიონერებისათვის საჭიროა ბანაკე-  
ბში სამხედრო მომზადებისათვის სა-  
მოქმედო მთლიანი პროგრამის გამო-  
მუშავება, რომელშიც გათვალისწი-  
ბული იქნება საერთო სამხედრო ცო-  
დნა და იმ დარგის სამხედრო ცოდ-  
ნის შესწავლა, რომელშიც პიონერე-  
ბი შეძლებენ სასარგებლო აქტიურ

მონაწილეობის მიღებას. პიონერების  
სამხედრო მომზადების მთლიან პრო-  
გრამას შეუძლია აღმოფხვრას არსე-  
ბული უგეგმობა და არეულობა ამ  
საქმეში.

ბანაკად ყოფნისას ოსოავიაციამა  
უნდა ჩაატაროს საინსტრუქტორო მუ-  
შაობა რაც უზრუნველყოფს პიონე-  
რებში სამხედრო მუშაობის სწორად  
დაყენებას.

საჭიროა აქვე გამოკვეთულ იქნეს  
წერტები თუ სად იქნება ბანაკი, რი-  
სთვისაც საჭიროა წინასწარი დაკავ-  
შრება პარტიისა და კომკავშირის  
უჯრედებთან, სოფლის საბჭოსა და

კოლმეურნეობების გამგეობასთან  
და კარგიც იქნება, თუ წინასწარ  
მივლინებული იქნება პიონერბრი-  
გადა წინასწარ მდგომარეობის გა-  
მოსარკვევად ღია მოსაგვარებლათ,  
რომ გამგზავრების შემდეგ ადგი-  
ლი არ ექნეს საბანაკო ადგილებზე  
მოუმზადებლობას. მხოლოდ კონკ-  
რეტული და გარკვეული გეგმა, ბა-  
ნაკისათვის მიჩნეული რაიონის პი-  
რობებს შესწავლაზე აშენებულის,  
უზრუნველყოფს მუშაობის კარგად  
დაყენებას და მის სწორ ორგანიზა-  
ციას. შესძლებს ბავშვების დანტე-  
რესებას მუშაობით, უზრუნველ-  
ყოფს თვითშემოქმედების მაქსიმალ-  
ურ განვითარებას. რაც იქნება  
მისი გამარჯვების საწინდარი.

ცხადია, რომ მარტო ამ საკითხე-  
ბით არ ამოიწურება მოსამზადებელი  
მუშაობა საგზად. საბანაკო მუშაობის  
პერიოდში ჩვენ წინ მდგომი, მაგ-  
რამ ურნალი მომავალ №-ში თან-  
დათანობით ვააშუქებს დანარჩენ  
კონკრეტულ საკითხებს საბანაკო  
მუშაობასთან დაკავშირებით.



■ განმანაწილებელი სადგური მე-  
ტალურგიული ქარხნისა კუშლაში ■

### პირველი მოხსენება

საჯაროდ სიტყვის თქმა დღეს უხ-  
დება  
თან ნერვიულობს თითქმის მთლიანად

ათასი ფიქრი მოიხსნა გუნდებთან,  
სიტყვაც ამისთვის შეუგვიანდა.  
ამხანაგებო. — იწყებს და ამბობს. —  
შემოქმედების ტემპმა იწვია  
ტემპს ამერიკულს გადააჭარბოს  
დღეს საბჭოების ტემპთა დინამიკა.  
იყო სოფელი ტყით და ფიჭვნარიო:  
დღეს სოფ ირთიან სახეს უცვლიან,  
და რესპუბლიკის ბრიგადირები  
ახდენენ ქვეყნის რეკონსტრუქციას.  
და მსურს გიამბოთ, დროს თუ მი-  
ზობდებო.

მაშინ ამ დღისთვის სისხლი სდიო-  
დათ;  
თოვდა და თოვდა ღამით მინდოოხე,  
ისტერიულად ჭოტიც კიოდა.  
ეს მოვიგონე. ისე, ხომ იცით:  
(თქვენც მოგონება ალბათ გქონიათ)  
სამეურნეო ფრონტით რომ იბრძვას  
დღეს ეს დამკვრელი რაიონია.  
წინსვლა ჩქარია... და ზღვარს არა  
ვდებო.

გოლს სიხარული მძლავრად ეხება.  
წრომის ბარაქც, ხედავ, გახარდეს  
ინტუიზიზმით იამიარულ ციხებმა.  
და თუ ვქარიშხლობთ, გესმით გმი-  
რობა

ტობია ადლია გრიგალს მიავა.  
ყველა ამხანაგს გაძლივთ პირობას:  
ღირებულება ვზარდოთ ნიადაგ.  
დამკვრილები ვაოთ გაუღუნავი,  
დამკვრელ დაზგებთან გეგმებს და-  
ვასწრებო.

გვქონდეს ტექნიკის სწავლის უნარი.  
ჩვენ. პიონერულ ენტუზიასტებს.  
განავრძობს... გარეთ ზამთრის დღე  
დგება;

თოვს და ტრიალებს ჰაერში ქარი,  
მჯერა მოსმენით გაგებარდებათ  
ეს მოხსენება პიონერ ქალის.

ღავით შამათავა.



■ პიონერები შაბათობაზე ■



### საკოლმეურნეო ესტაფეტის შესახებ

ამხანაგებო! აჭარისტანის პიონერთა საოლქო ბიურომ საკოლმეურნეო ესტაფეტასთან დაკავშირებით მუშაობა დაიწყო მიმდინარე წლის 15 მარტიდან. ორ რაიონში — ქობულეთსა და ხულოში — ეს მუშაობა სათანადოდ მიმდინარეობს; ქობულეთის რაიონის პიონერებმა აიღეს საკოლმეურნეო მარშუტის ერთი ნაწილი ჩაისა და ტექნიკური კულტურებისათვის, (ხოლო ხულოს რაიონში კი) — მესაქონლეობის და საქონლის სააგები მასალისათვის.

ორივე რაიონში შექმნილია სარაიონო შტაბები და ქვეშტაბები. კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო შტაბმა ჩაატარა პიონერთა შორის მომუშავეების თათბირი, სადაც დამუშავდა საკოლმეურნეო ესტაფეტის ყველა მარშრუტი.

ყველა პიონერ - კოლექტივი მუშაობს საკოლმეურნეო ესტაფეტასთან დაკავშირებით, შტაბის ხელმძღვანელობით.

ქობულეთის რაიონს აღებული ჰქონდა საკონტროლო ციფრები, მაგალითად, ჩაი — 12 ჰექტარზე, მხოლოდ დასამუშავებლად კი 43 ჰექტარი, აქედან 4 ჰექტარი ჩაქვში, 1 ჰექტარი ქობულეთში, 3 ჰექტარი ხუტუბანში და 4 ჰექტარი ლეგვაში.

ცალკეულ თემებში ძალიან სუსტად მიმდინარეობს სკოლის მოწოდების ჩაბმა საკოლმეურნეო ესტაფეტაში. საკოლმეურნეო ესტაფეტის შტაბმა მოისმინა რაიონების მოხსენებები 6 აპრილს და ზოგიერთ რაიონის მუშაობა ცნობილ იქნა არადამაკმაყოფილებლად. მაგალითად, ბათომის და ქედის რაიონების, სადაც მუშაობა სუსტად მიმდინარეობს.

აპრილში დაიგზავნება ჩამორჩენილი რაიონების დასახმარებლად 30 პ-ბრიგადა, სადაც გაერთიანებული იქნება 150 პიონერი. ამთ გარდა ცალკე რაიონებზე მიმავრებულ იქნება კოლექტივის თითო ხელმძღვანელი.


შტაბთან შექმნილია პიონერთა მოძრავი თეატრი, რომელიც ჩაატარებს სათანადო საღამო-წარმოდგენებს რაიონებში. სულ შექმნილია 4 შტაბი და 12 ქვეშტაბი.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეობა აჭარისტანის მიწათმოქმითის კომისარიატის და კოლმეურნეო ცენტრის არადამაკმაყოფილებელია, არის შემთხვევები, რომ მათი წამომადგენლები არც ცხადდებიან შტაბის სხიომებზე.

საკოლმეურნეო ესტაფეტის მსგელობა ქალაქის ფარგლებში დამაკმაყოფილებელია.

აგრეთვე მოწყობილია 10 ბალ-ბოსტანი, ჩამოყალიბებულია მეფორინელების და მეფოტურების არტელი. პირველში გაერთიანებულია 400 ქეთამი, მხოლოდ მეფოტურეთა არტელს ჯერ-ჯერობით აქვს 4 ძირი სკა.

ამხანაგებო, აი რა გააკეთა აჭარისტანის პიონერთა საოლქო ბიურომ საკოლმეურნეო ესტაფეტის ფრონტზე.



პროდუქტი  
გეოლოგია

მარიუპოლის კის სამუშაოებზე

ბი ჩვენი მოგზაურობის შესახებ საბჭოთა კავშირში.

შე დამსაჯებს იმისათვის, რომ წამოვედი თქვენთან. ჩემს მშობლებს მოსოხვეს 20 მარტა ჯარიმის გადახდა, ან 4 დღით ციხეში დაპატიმრება“.

აი, ფრიდას წერილი ვენადან:

„ძვირფასო ამხანაგო, შენ მეკითხები მე, თუ როგორ მომეწონა საბჭოთა კავშირში მოგზაურობა. გიპასუხებ — მომეწონა ერთობ. მე ძლიერ მსურს იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც არ არსებობს ჩაგვრა, სადაც ყველანი თავისუფალი არიან. მე არასდროს არ ვიღებ ხელს აქტიურ მუშაობაზე პიონერ-რაზში, რადგან ვენის პროლეტარულ ბავშვებს სურთ იყვენ ისეთივე თავისუფალნი, როგორც თქვენ. მაგრამ ავსტრიაში კიდევ დიდხანს გასტანს ბრძოლა. მე ვიქნებოდი ძლიერ ბედნიერი, რომ შემეძლოს საქართველოს გასაბჭოების და წითელი არმიის ათი წლის თავის დღესასწაულზე დასწრება. ჩემი მამა ეხლა უმუშევარია. ჩვენს ოჯახში 7 სული ბავშვია. მაგრამ მამა ჩემი არ ღებულობს არავითარ დახმარებას. ამიტომ მიძულელებული ვარ დავტოვო სკოლა, რადგან არ მოგვარდება საშუალება გადავიხადო სწავლების ფული.

აღდგომას როტერდორფში მოხდა დიდი შეტაკება პოლიციელებთან, რომლებმაც „ისახელეს თაფი“ — მოჰკლეს სამი მუშა და უაპატიმრეს მრავალი.

ძვირფასო ამხანაგო, მოიწერე დაწვრილებით თქვენი ცხოვრების შესახებ საბჭოთა კავშირში. მტკიცე პროლეტარული სალაში იყავით მზად. ფრიდა. მსურვალე სალაში ტფილისის პიონერებს.

ანი კლენინი ამსტერდამიდან იწერება:

... მე ვსწავლობ რუსულ ენას და მსურს კოლმეურნეო რუსულად. მე უნდა შევისწავლო მრავალი სიტყვა და გრამატიკა. ამ დღეებში მე ვისმენდი რადიოს მოსკოვიდან — გავიგონე „ამხანაგ სტალინის დამკვირვებში, მუშებში“. მე ძლიერ მიხარია, რომ უკვე ცოტა მესმის რუსული ენა. მომწერე, როგორ არის მოწყობილი თქვენთან საბავშვო ბაღები, ბავებები და შეუძლიათ თუ არა დედებს თავისუფლად იმუშაონ და დასტოვონ ბავშვები ბავებებში. გთხოვ დაწვრილებით მომწერო კომკავშირის და პიონერთა მუშაობის შესახებ. თუ შესძლებს გამოიგზავნე პიონერთა სურათები მუშაობის და სწავლების დროს.

ამხანაგური სალაში, მზად ვარ. ანი“.

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი მშობრივი ორგანიზაციები უცხოეთში მზად არიან იბრძოდნენ მუშათა საქმისათვის. გაუწიეთ მათ დახმარება ამ ბრძოლაში!

## უცხოელი პიონერების წერილი

მიუნხენი, ვენა, ამსტერდამი, — ტფილისი

საბჭოთა კავშირის წითელ საზღვრებიდან ფოსტას ყოველდღიურად მოაქვს მრავალი ათი ათასი წერილი, რომელთა შორის აღმოჩნდა ტფილისის პიონერთა სახელზე გადმოგზავნილი წერილები — გერტრუდა ვეკეს, ფრიდა ბინდერის და ანა კლენინის.

გერტრუდამ, ფრიდამ და ანამ გასულ წელში საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის დროს ინახულეს საქართველო, გაეცვენ აქ ჩვენს პიონერებს და ეხლა აწარმოებენ მათთან ნამდვილ ინტერნაციონალურ მიწერ-მოწერას.

ამ წერილებმა შესძლო ბურჟუაზიულ მთავრობათა პოლიციელების და ჟანდარმების ყურადღების აცილება. გადალახეს კაპიტალისტურ ქვეყნების საზღვრები და მიადწინეს ტფილისამდე.

აი, რას გვწერს ჩვენ გერტრუდა ვეკე მიუნხენიდან:

„წელს მე ვამთავრებ სკოლას და ამიტომ იძულებული ვარ გუგლდანში ვიმეცადინო. მაგრამ, ჩვენში ისე არ არის, როგორც საბჭოთა კავშირში. ჩვენთან ბავშვებს უხარიათ

სკოლის დამთავრება, რადგან მუშების ბავშვებს მასწავლებლებმა აქ ძლიერ ცუდათ ეპყრობიან. სკოლის ცხოვრება აქ ისე არ მიმდინარეობს, როგორც თქვენში. ჩვენ მენტის-მეტად გვავიწროებენ და ხშირად გვცემენ. მაგალითად: პატარა შეცდომისათვის ართიმეტულ ამოცანის გადაჭრის დროს ჩვენ ვდებულვით ექვსჯერ ჯოხის დაბრტყმას ხელის გულზე. ჩვენ გვცემენ სახეში უბრალო, ლაპარაკისათვის გაკვეთილის დროს. ამიტომ შენ ადვილად წარმოიდგენ, თუ როგორ ხალისით მივდივართ ჩვენ სკოლაში.

სკოლის დამთავრების შემდეგ მე არ ვიცი სად ვიშოვი საშუაოს. უმუშევართა რაოდენობა ჩვენში 4 მილიონამდე აღწევს. ჯამაგირს აქ მუშები ღებულობენ ძლიერ მცირებს. ქალიშვილი, რომელმაც დაიწყო მუშაობა, ღებულობს პირველი წლის განმავლობაში ყოველთვიურად 10 მარკას (16 მანეთს) და იძულებულია იმუშაოს დღეში 8—10 საათი.

მე მიხდება დიდი მუშაობის წარშობება პიონერ-რაზში. მე ყველა პიონერებს უყვე-





ტფილისში აგრონომებმა იციან ამ გმირების სახელები, რომლებიც განცხრომით ცხოვრობენ ბაკურიანში და მხარეთმცოდნე წამოწოლილები მიირომევენ ფაფუკ თევას, გემრიელ სტაფილოს, ჭარხალს, კომბოსტოს, ხტილებს და ქერის მარცვლებს. მატარებელმა უკანასკნელად დაიკვილა და დადგა.

ესეც ბაკურიანი! კონდუქტორმა სათვალეების სწორებით გამოძარტვა ბილეთი. ველარ ვიცი, მინდა ჩქარა ენახო, და გავრბივარ. ვავიარე გრძელი ქუჩა, სოფელს დაჰყურებს თოვლიანი მთები და გარშემორტყმულია ფიჭვისა და ნაძვის ტყეებით.

აგერ პატარა სერი, და გამოჩნდა შუშაბანდიანი ვებერთელა შენობა, რომელსაც ორ ჰექტარზე მეტი უკავია.

ეს საკურდღლე კი არა, ვინმე ქიმიკოს პროფესორის ლაბორატორია გვეჩვენება. არ ვუფერო თვალებს, შეხედება ახალი შენობები, მუშები ფუსფუსებენ, კანჩებით მიათრევენ ვებერთელა მორებს. მხერხავების ჯგუფები გამალებით მუშაობენ. ვადაც ახალგაზრდა, რომელსაც ქალაქელი მუშის სპეცტანსაცმელი აცვია, ათვალაიერებს მასალებს, ზომავს, ალაშაზებს, ანგარიშობს, ალიხს სინჯავს და ხელოსნებს ასწავლის ხის დალაგებას. ეს ყმაწვილი 22-24 წლის იქნება. ამიტომ არ ვვიჭირობ ის ინჟინერი იყოს. ვაქანებ თავს და შევდივარ შუშაბანდიან სახლში. კარებში მხედება ვილაც რუსი და მეპატიებდა.

— მობრძანდით, მობრძანდით, ნახეთ — აი ეს გახლავთ შინშილა.

სკვბსავით ჩაწყობილი ყუთები, წინ მავთულის ხლართებით შებადული. შიგ სხედან ტუჩების ცმაცუნით კურდღლები — „შინშილები“. დედა შინშილა ბაჭიებს უვლის, აჭმევს სტაფილოს და უმარჯვებს თევას; ხანდახან წამოწვება, და ბაჭიები ხშირად დაეწაფებიან ძუძუებს.

ყველა ბაჭია ოია ცისფერია, არცერთი წერტილი შავი ან თეთრი. ვვიჭირობ: რაღა გვიჭირს, კურდღელმა სწრაფი მოშობება იცის და ბერი ხოლო ვივექნება მეთქი. მაგრამ, მოვსტყვიდი, შინშილას ბაჭია 45 მანეთი ღირს და ვინ გაიმეტებს სახორციედი. მათ ზრდიან მხოლოდ იმისათვის, რომ აქეთ ოორო ძვირფასი ბეწვიანი ტყავი, ვიდრე ხორცი.

ბაჭიები დახტიან, ცელქობენ, თათებით იწმენდენ მუდამ დაკვეთილ თვალებს და სტვეტენ ყურებს.

გადავდიოთ შემდეგ განყოფილებაში, სადაც მოთავსებული არიან ვენელი რუხები.

ამ ჯიშის კურდღლები ბევრით არ განირჩევიან შინშილისაგან, არიან ცოტა უფრო რუხები და დიდებიც. თათებ შუა გულთეთრები. უფრო დარბაისლები — არიან, ვიდრე შინშილები და სიმინდის მარცვლებსაც კი მიერთებენ.

კოსტორექსი განირჩევა ყველა ჯიშის ბაჭიასაგან — გადაჰკრავს მიხაკის ფერი და აქვს ხშირი და რბილი ბეწვი. კოსტორექსი ითვლება ყველაზე ძვირფას ჯიშად. მისი ბეწვი თავისი ღირსებით არ ჩამორჩება წავის ბეწვს. საბჭოთა კავშირში კოსტორექსის ჯიშის კურდღელი სულ ათ ცალამდეა და მათ ისე უფროთხილდებიან, როგორც თვალის ჩინს. კოსტორექსი განსაკუთრებულ პატივისცემას ჰყავს გამგეს შუსტერ შობარა, ყოფილ პარტიზანს, რომელმაც 33-34-ე განაცხადა:

— „თავის დროზე ვებრძოდი აუთრებს, ახლა კი კურდღლებს ვაშენებ.“

კოსტორექსის ჯიშის კურდღელი ჰყავთ მხოლოდ გერმანელებს. მისი მოშენებით ცხოვრობს რამოდენიმე ათასეული გლეხური მეურნეობა.

გერმანიის მთავრობას ჩასტიკად აკრძალული აქვს გერმანიის გარეთ კოსტორექსის გავრცელება. მამალ კოსტორექსს გერმანელები არავითარ შემთხვევაში არ გაჰყიდიან. ისინი ძალიან უფროთხილდობდენ კოსტორექსის გავრცელებას საბჭოთა კავშირში, მაგრამ სრულებით შემთხვევით ცდებისათვის საბჭოთა კავშირში ჩამოყვანილი ორი კოსტორექსი შეიქნა ამ ჯიშის კურდღლის მეურნეობის საძირკველის ჩამყრელი.

რადგან ბევრი არ არის ამიტომ ახდენენ მათ შეჯვარებას შინშილასთან და ვენურ რუხებთან. ცდები კარგ შედეგს იძლევა და უახლოეს წლებში კოსტორექსის კურდღლის ტყავის სათბურები ფართოდ გავრცელდება საბჭოთა კავშირის მუშებსა და გლეხებში.

ჯერ-ჯერობით ბაკურიანის კურდღლის საბჭოთა მეურნეობაში ხუთასამდე ჯიშისაი შინშილა, ვენური რუხი და კოსტორექსია.


სწარმოებს მათი კოლმეურნეობებში გავრცელება, რაც საშუალებას მისცემს საბჭოთა საქართველოს გლეხობას უფრო გაადიდოს თავისი შემოსავალი და კულტურულადაც წინ წაიწიოს.

შემენებლობას ხელმძღვანელობს ზემოთ მოხსენებული 24 წლის ახალგაზრდა — საბჭოთა ინჟინერი ცკიტო შვილი, რომელმაც თავისი საქმე — სახლების და ტინობის შენობების აგების გარდა აქ მშენიერად იცის კურდღლის ტკივილებიც.

— ჩემს სოფელ შროშის სერებზე გულგახეთქილი მირბენია და ძლივს მინახავს კურდღელი, აქ კი ჯერ ხუთასი გვეყავს, ვაისად ათასამდე გვეყოლება და ათიოდე ასეთ ფერმასაც მოვაწყობთ, — მითხრა გამოშვიდობებისას ინჟინერმა.

ბაკურიანის კურდღლის საბჭოთა მეურნეობაში სულ ხუთი კაცი მუშაობს. მათ შესანიშნავად იციან თავისი საქმე და ეჯიბრებიან ყველა საბჭოთა მეურნეობას ყურცქვეტების რაზმით.

ბ. ჩხეიძე.





# ისპინეთი, ისპინეთი ანხ. პიონერები

## ბორჯომის მინერალურ წყლის ქარხნის მუშები გვემხმარებენ

### სოც.-შეჯიბრისა და დაგვიკრელოვის ფართოდ გაშლით

შეგებრებით ათი მილიონი ბორჯომის ბოთლი ჩვენ ვეძახით მოძმე რესპუბლიკების პიონერებს, რომ ისინიც დაგვეხმარონ ამ დიად საქმის შესრულებაში. **საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ყველა პიონერებს და მოწაფეებს**

პარტიის და კომკავშირის ხელმძღვანელობით პიონერული ორგანიზაციები მონაწილეობას იღებენ ხუთწლიდის მესამე გადამწვევით წლის გეგმების შესრულებაში: რკინიგზის ნამტვრევების შეგროვებით მოწაფეებმა მისცეს სოციალისტურ მეურნეობას მრავალი ტრაქტორი და სხვა სამეურნეო იარაღი.

ამჟამად საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა თქვენს წინაშე დასახა შემდეგი დაკვირვითი ამოცანები: უნდა დაეხმაროდ ბორჯომის მინერალურ წყლების ქარხნის მუშებს საწარმოო საფინანსო გეგმის შესრულებაში, ჩვენ უნდა შევავაროვოთ 10.000.000 ბორჯომის წყლის ბოთლი, ბორჯომის წყალს უდიდესი სამკურნალო მნიშვნელობა აქვს. ეს წყალი არის ბუნებრივი სამკურნალო საშუალება, ის უხდება კუჭის, ნაწლავების, ჭაჭების, ღვიძლის, ფილტვების და სხვა ორგანოების ავადმყოფობას. თავისი შემადგენლობით და მოქმედებით ბევრად სჯობდა საზღვარგარეთელ კურორტების წყლებს. ამიტომ ბორჯომის წყალი ფართოდ არის გავრცელებული არა მარტო ა.-კავკასიაში, არამედ სსრკ-ში და საზღვარგარეთაც.

მშრომელთა ეკონომიური დონის გაუმჯობესებასთან ერთად ბორჯომის წყლის მოხმარება წლიდან-წლამდე მატულობს და საჭიროა ჭურჭლის დიდი რაოდენობა გაზრდილ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

მიმდინარე წელში ბორჯომის მინერალური წყლებს ქარხანა ადიდებს თავის პროდუქციას — 18.000.000 ბოთლამდე.

ათასობით და ათათასობით ეს ბოთლები გაფანტულია და ხშირად სრულებით უსარგებლოთ ჰყრია ის ადგილებზე.

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალურ-

რი და თბილისის ბიუროები აცხადებს პიონერების და მოწაფეთა მობილიზაციას, რათა დაკვირვით იქნეს შესრულებული ს. კ. პ. (ბ) ცეკას და საქართველოს ა. ლ. კ. კ. ცეკას განაკვეთი 10 მილიონი ბორჯომის წყლის ბოთლის შეგროვების შესახებ

ერთდროულად საქართველოს პიონერ-ორგანიზაციების სახელით ცენტრალური და თბილისის პიონერები მიმართავენ მოძმე აზერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკების ყველა პიონერებს და მოწაფეთ დახმარებისათვის, რომ ბორჯომის მინერალური წყლების ქარხანამ შესძლოს საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულება.

ჩვენ მივმართოთ სომხეთის და აზერბეიჯანის ამხანაგებს მებრძოლის ინტერნაციონალური მოწოდებით, რომ სოციალისტური შეჯიბრის და დამკვირვლობის მეთოდების საშუალებით დაიწყონ მათ ლაშქრობა 10 მილიონი ბორჯომის ბოთლის შესაგროვებლად.

საქართველოს ა. ლ. კ. კ. ცეკას ბ. კ. ო. ცენტრალური ბიურო ავალდებულებს თავის ადგილობრივ ორგანიზაციებს, ყოველდღიურად გამოგზავნოს ბ. კ. ო. ბიუროს თავმჯდომარის და ადგილობრივ კოოპერატიულ მაღაზიის გამგის ხელის მოწვევით ცნობა, შეგროვილ და ჩაბარებულ ბოთლების შესახებ.

ბ. კ. ო. ცენტრალური ბიურო ბორჯომის მინერალური წყლების ქარხანასთან ერთად აწესებს საპრემიალო ფორმას 1.500 მანეთის რაოდენობით, დაწესებულია სრულებით ერთნაირი ჯილდო სამივე რესპუბლიკისათვის. ეს ჯილდოები მიეცემათ იმ რაიონებს, რომელნიც თავის დროზე ჩააბარებენ ყველაზე მეტ ბოთლებს.

ამის გარდა ბ. კ. ო. ა.-კ. ბიურო ინიშნება არბიტრად (მსაჯათ) ჯილ-

დოს გადასაცემად იმ რესპუბლიკებისათვის, რომელიც აიღებს პირველობას ბოთლების შეგროვების საქმეში.

დაჯილდოებული იქნება აგრეთვე ცალკე რაზმებიც.

მთელი კამპანია უნდა ჩატარდეს დაკვირვით წესით ბავშვების მაქსიმალური ჩაბმით ამ კამპანიაში.

საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის პიონერებო და მოწაფეებო, დაიწყეთ ბრძოლა ბორჯომის მინერალური წყლების ქარხნის საწარმოო-საფინანსო გეგმისათვის.

მისცეთ ბორჯომის მინერალური წყლების ქარხანას 10 მილიონი ბოთლი.

**შენიშვნა:** შეგროვილი ბოთლები უნდა ჩაბარდეს თბილისში — „ბორჯომის მინერალური წყლების სამმართველოს“.

პლებანოვის ქუჩა № 75, რუსთაველის გამზირი № 10, ან № 31.

ბაქოში და ერევანში ბოთლები უნდა ჩაბარდეს ბორჯომის წყლის წარმომადგენელს. დანარჩენმა საქალაქო და სასოფლო ორგანიზაციებმა უნდა ჩააბარონ ბოთლები ადგილობრივ კოოპერატივებს.

ყველა პიონერებმა, ორგანიზაციებმა უფასოდ ჩაბარებულ ბოთლებში უნდა მიიღონ სათანადო ქვითარები და დაუყოვნებლივ გადმოგზავნონ ეს ქვითარები ბ. კ. ო. ცენტრალურ ბიუროში შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის გამზირი № 20.

ჩაბარებულ ბოთლების თანხები მოხმარდება პიონერულ ორგანიზაციების მუშაობას.

**საქართველოს ა. ლ. კ. კ. ცეკას ბ. კ. ო. ცენტრალური ბიურო.**

**საქართველოს კომკავშირის ტფილისის კომიტეტის ბიურო.**





ყოველდღე იზრდება პოლიტიკურად და ვითარდება ეკონომიურად საბჭოთა სოციალისტური კავშირი. ასეული ახალი ფაბრიკები და ქარხნები ჩქარი ტემპით მიაქანებს წინ სოციალისტური ინდუსტრიას. თვალუწვდენი მინდვრები იკლავება რკინის გზებით, შარაგზებით ისერება მიუვალი მთები. ამჟამად მიაპობენ ფოლადისა და რკინის არწივები ძლიერი საბჭოთა ფრთებით დაპყრობილ საპაერო სივრცის ტალღებს. ტრაქტორების გუგუნის ახალისებს მშრომელ ვლეხობას, სოციალისტური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით ხელი-ხელ ჩაკიდებული მედვარად მიემართება სოციალიზმისაკენ.

საბჭოთა კავშირში იზრდება სოციალისტური მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ტექნიკურად გაუმჯობესებული მანქანა-იარაღების გამოყენებით.

ახალი მანქანები, ახალი დაზგები, ახალი ტექნიკური სასოფლო-სამეურნეო იარაღები, — აი რაზე ფიქრობს საბჭოთა ქვეყანა.

ახალი მრეწველობა და მეურნეობა მოითხოვს ახალ აღამიანებს. და სწორედ იმით კადრების შექმნის და მომზადების საკითხი სოციალისტური მშენებლობის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს. მაშასადამე, კადრების საკითხი დღევანდელი დღის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გახდა.

ჩვენი მოაზარი თაობა რამდენიმე წლის შემდეგ დაზგასთან უნდა დადგეს, ხუთწლიანი გეგმა ასიათასობით მოითხოვს კვალიფიციურ მუშახელს, ტექნიკოსებს, ინჟინერებს, მაშასადამე. თუ ახალგაზრდობას ახლავე მივცემთ ტექნიკურ საშუალებებში ჩაბმის საშუალებას, ამით იაეაჩქარებთ და ხელს შეეფოწყობთ კადრების საკითხის დრო---ად გადაჭრას.

ტექნიკის შეუჩერებელი განვითარება თანდათანობით მანქანებით სცვლის ადამიანის მძიმე ფიზიკურ შრომას. ადამიანის მკლავი ყოველდღიურად ჰკარგავს ღონის დახარჯვის აუცილებლობას, მისი ადგილი უნდა დაიკავოს ამუშავებულმა რკინისა და ფოლადის მანქანებმა. რადგან ასეა, ჩვენთვის საჭიროა არა ხელოსნები, რომელნიც ხელ მანქანებით სავსე ქვეყნისათვის უძღოური და უსუსური აღმოჩნდებიან, არამედ ტექნიკური ცოდნით აღჭურვილი აღამიანები.

პარტიის მიერ ტარდება სკოლის და საერთოდ მთელი სახალხო განათლების სისტემის გადახალისება.

სახალხო განათლების საკითხების შესახებ მოწვეულმა საიარაღო თათბირებმა მთელი თავისი ყურადღება მიაპყრო პოლიტიკური სკოლის საჭიროებას და აიამოტომაც არის გამოცხადებული პიონერებისა და მოსწავლეების საკავშირო საწარმოო ტექნიკური ლაშქრობა.

ეს ლაშქრობა მიზნით ისახავს:

შეამოწმოს ბავშვთა მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში. მითიოს ყოველგვარი ზომა არსებულ სკოლების უმრავლესობის საფაბრიკო-საქარხნო შეიღწილებად გაიასაქცევად, რომელთაც ორგანიული კავშირი ექნებათ წარმოებასთან.

ჩააბას მოზარდი თაობა შრომასა და ტექნიკურ მუშაობაში. მიაღწიოს იმას, რომ საბჭოთა საზოგადოებრივობამ და მთელმა სახელმწიფომ ყურადილება მიაქციოს ბავშვთა ამ ახალი სისტემით აღზრდის საკითხებს.

გადაახალისოს სკოლების, პიონერჯგუფებისა და მთელი ბავშვთა ორგანიზაციების მუშაობის შინაარსი ახალი აღზრდის ამოცანებთან შეფარდებით.

ასეთია ლაშქრობის ამოცანები, რომელთა განხორციელებამ უნდა მოგვეცეს ბრწყინვალე შედეგები.

არსებობს საბავშვო ტექნიკური სადგურები, რომლებშიაც ბავშვები ტექნიკურ მუშაობას ეწევიან. ჩვენ ყოველი საშუალებებით უნდა ვეცადოთ მათი რიცხვი რაც შეიძლება გაზრავდეს.

რა არ იითიება ბავშვების ხელით ამ ტექნიკურ სახილოსნოებში! აი, საქმელის მოსახარზავი მოწყობილობა, ორთქლმავლის მანქანები, ქალაღლის საჭურები და სხვა.

ერთი რომ გულმოდგინედ სწავლობს ოიქტრობის გაყვანას, მეორე ჯგუთი აეტომობილს აკეთებს, რომელსაც მოტორის ნაცვლად ხელი ამოძრავებს.

იქით, უთხეში, მომავალი მფრინავები და ბორტ-შექანიკოსები მისწრაფიან დაიპყრონ ჰაერი ჰაერო პლანიოთ, თომია ჯერ მოდელს აკეთებენ.


ერთი სიტყვით გახურებული მუშაობაა.

... მაგრამ საბჭოთა კავშირში საბავშვო ტექნიკური სადგურები ჯერ კდეც ცოტაა. ჩვენი ბავშვები სკოლებში და პიონერჯგუფებში საკმაოდ ვერ ჰპოულობენ ტექნიკური მუშაობის სათანადო პირობებს და სახლობში აწყობენ თავიანთ „ტექნიკურ საოოურებს“.

—გადი ქუჩაში და ითამაშე, რას მინაგვიანებ ახლად დასუფთავებულ ოთახსა და აივანს.

—არა, დედი, ჰაეროპლანს ვაწყობ ამ ქალაღდებისაგან. დიდი რომ გავიზრდები, კიდე უკეთეს გავაკეთებ და ჰაერში ვიფრენ, — უპასუხებს პატარა ბავშვი გაგულისებულ დედას.

ეზოში მოუტანიათ ბავშვებს თუნუქის ფურცლები, ფიცრები ძველძველი ლურსმნები.



ტრაქტორების გადაზიდვა კოლმეურნეობებში



აშენებენ სახლებს,  
აგებენ სასახლეებს,

—ვაკეთებთ ტრაქტორს, ვაშენებთ კოლექტივს!—გაჰკვივიან ბავშვები.

ასე, სანამ ცას ბინდი გადაეკვრება, ოთახებში, აივანზე, ეზოებში ბავშვების „ტექნიკური სადგაოები“ გულმოდგინეთ მუშაობენ.

მეგზოგენი სათამაშოებით მონაგვიანებულ ეზოებს ბუზლუნით ასუფთავებენ.

ბავშვების მუშაობა საშინაო ტექნიკურ სადგურებში პირველი საფეხურია მათი მომავალი ტექნიკური ცოდნისა. ისინი არ იცდიან, მუშაობენ.

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით „გოგონები და ტექნიკა“ მნიშვნელოვან საკითხად დგას ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში. გვყავს თუ არა ინჟინერი ქალები, ტექნიკოსი ქალები და სხვა?

პასუხი ერთია: თითო-ორიოლა. ეს ფრიად სამწუხარო მოვლენაა. ტექნიკურ საქმეებში—ბიჭი ქა-კერვისათვის — გოგო.

ასეთ დანაწილებას დღეს კიდევ წააწყდებით ჩვენს სინამდვილეში, მიუხედავად იმისა, რომ ის სრულებით არ შეეფერება არსებული ახალი სოციალისტური საზოგადოების ძირითად პრინციპებს.

ასეთი ძველი, კონსერვატორული მახინჯი შეხოვლებანი ჯერ კიდევ აქვს ჩვენი საზოგადოების კულტურული ჩამორჩენილ მცირე ნაწილს. ცხადია, რომ საერთოდ სოციალისტური მშენებლობის გიგანტურ ზრდასთან დაკავშირებით საჭიროა პრეწველობის უაღრესად მაღალი ტექნიკით მოწყობა და მაღალი კვალიფიკაციის ტექნიკური მუშაკები. მომავალში თანდათანობით წინ წავა ტექნიკური მეცნიერება, რომელიც პრაქტიკულ გამოხატულებას ნახავს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სწორედ ამიტომ ტექნიკური კადრების ზრდას ახლავს უნდა შეუდგეთ და ტექნიკური მომზადება უნდა მიიღოს ბიჭებს და გოგონებს, განურჩევლად სქესისა. ჩვენ ერთნაირად დავაფასებთ ინჟინერს მამაკაცს და ინჟინერ ქალს, სულ ერთია, სახლს ინჟინერი ქალი ავაგებს თუ ინჟინერი მამაკაცი—სახლი მაინც სახლი იქნება.

მამასადამე, უნდა ახლავს მივიღოთ ზომები, რომ ჩვენათ ტექნიკურ სწავლებაში უმთავრესად მუშების შვილები. მაშინ სავსებით გავამართლებთ „მუშის მიერ ტექნიკის დაპყრობის“ საკითხს.

—დედიკო, რა იქნება, რომ ინჟინერი გავხდეს, მეც ავაგებ ორთქლმავალს, სახლებს,—**უფნება პატარა თამარა თავის დედას.**

—არა, შვილო, ინჟინერობა რა შენს საქმეა: **ინჟინერად მიტოს გამოგზარდი**, შენ კი მუსიკის მასწავლებელი უნდა გამოხვიდე და ქრა-კერა იკოდე. რაც აუცილებელია მომავალი ოჯახის ქალისათვის.



ასეთი საუბარი, მკითხველო, შესაძლებელია ბევრს თქვენგანს გაუგონია და განა სამწუხარო არ არის „მომავალი ოჯახის“ ასე გნსაზღვრა? მომავალი სოციალიზმისა, სოციალისტური ოჯახი კი არ ნიშნავს იმას, რომ ინჟინერი მხოლოდ მამაკაცი უნდა იყოს. მშობლებმა უნდა შეიგნონ, რომ ტექნიკისათვის სულერთია ვინ იქნება მისი გამომგონებელი და გამომყენებელი—მიტო თუ თამარი, მამაკაცი თუ ქალი.

ამრიგად, გოგონები და ტექნიკა უნდა დავახლოვოთ და დავამეგობროთ.

ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა საბჭოთა სახელმწიფოში მამაკაცებთან ქალების გათანასწოების აუცილებლობას.

„თითოეულმა დიასახლისმა უნდა შეესძლოს სახელმწიფოს მართვა“. ამ ცნობილ ნათქვამს, ხორცი უნდა შევასხათ. სახელმწიფოს მართვა განა ნაკლებ საპასუხისმგებლოა, ვიდრე ქალის მიერ ტექნიკის დაპყრობა? არა.

„გოგონები ტექნიკასთან“, აი ჩვენი ლოზუნგი. საბჭოთა კავშირში ქალებისათვის გზა თავისუფალია, კარი ყველგან და ყოველთვის ღიაა. დევნიმართო ყოველმხრივ გოგონებსაც ტექნიკასთან დაახლოვების საქმეში, რაც პოლიტექნიკური სკოლის საშუალებით უნდა გატარდეს.

**მუშაობა უმცროსებს შორის და უფროსების გადახალისება.**

—რადიო მიმღებს დაკეთებ, —წაილაპარაკა თამარიკომ.

— რა შენი საქმეა რადიომიმღების დაკეთება. ნემსი დაიჭირე ხელში და

ჭკერე.— უპასუხებს ბუზლუნით პატარა შაქრო.

შაქროს ამ სიტყვებში მარხია ძველი ოჯახის ყოფაცხოვრების მახეებლური შეხედულებანი, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდთაობაზე.

შაქროს „შეხედულება“ მისი დედის აზრისა და „შეხედულების“ გაგრძელებაა. ამიტომ უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს სააგიტაციო-ალმწიფოებით მუშაობას, როგორც უმცროსებს, ისე უფროსებს შორისაც.

უფროსებს უნდა შეიგნონ, რომ ახალი ქვეყნის მშენებელნი არა მარტო მამაკაცები არიან, არამედ ქალებიც. ძგონი დღეს არავინ არის ისეთი უგაფური, რომ მამაში ეჭვი შეეპაროს. თუ ასეა ვისგან ისწავლა შაქრომ რადიომიმღების მკეთებელთა და ნემსის მხმარებელთა გარჩევა სქესობრივი თვალსაზრისით? აშკარაა, უფროსებისგან, რომლებიც გარეგნობით დიდები არიან, მაგრამ ძლიერ პატარები ხდებიან, როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ისმება დიდი მშენებლობის ასეთი პრაქტიკული საკითხები.

საჭიროა არა მარტო უმცროსებს შორის მუშაობა, არამედ აუცილებელია უფროსების გადახალისებაც. მათი ძველი, დამყაყებელი ტრადიციული ჩვეულებების აღმოფხვრა.

**პატარა კაცების და პატარა ქალების დამოკიდებულების შესახებაც ვთქვათ ორიოდე სიტყვა.**

როცა ბიჭებს იდუალოგოურად სწორედ აღვზრდით და გოგონებსაც შთაუწერავთ ტექნიკურ იდეებს, მაშინ ისინი ერთად იმუშავენ მთელი





ჩვენი სოციალისტური მშენებლობის და ახალ ცხოვრების პრაქტიკულ საქმეზე. მაშინ საბოლოოდ მოეღება ბოლო „რადიომიმღების“ და „ნემსის“ დამყაყებულ „ფილოსოფიას“.

დასაახლოებელი მუშაობა ბიჭებსა და გოგნებს შორის ჯერ კიდევ საჭიროებს საკმაო ყურადღებას. მას მასიური სახე უნდა მიეცეთ, რითაც უფრო მივალწევთ დადებით შედეგს და ჩვენი თვალთაც დავინახავთ, თუ როგორ მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებთ „პატარა მამაკაცების“ და „პატარა ქალების“ დაახლოების საქმეში. მაშინ აღარ გავიგოვებთ „შენი საქმე ნემსია“ და სხვა...


საბჭოთა სოციალისტური კავშირი პოლიტიკური და ეკონომიური შემოქმედების ყოველ დარგში იზრდება და ვითარდება. აღამიანის ღონესა და მაგარ ხელებს ჩქარი ტემპით სცვლიან „სუსტი ხელებით“ ამუშავებული მანქანები. ლოზუნგი „დავეწიოთ და გავუფსწროთ“ მოითხოვს კვალიფიციურ მუშაკებს და ამიტომ საჭიროა კადრების მომზადება.

საწარმოო ტექნიკურ ლაშქრობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მის მიერ დასახული ამოცანები უმტიკუნეულოდ უნდა განხორციელდეს. საჭიროა ჩვენი სკოლების ძირითადი გადახალისება პოლიტეხნიზაციის საფუძვლებზე, უნდა გავამრავლოთ ბავშვების შინაური ტექნიკური სადგურები, რომელიც პოლიტეხნიზაციის პირველი საფეხურია და ბავშვს უნერგავს ტექნიკურ საქმიანობის სიყვარულს. მიეცით გზა და შეუქმენით პირობები გოგონებსაც ტექნიკასთან დასაახლოებლად! აუცილებლად უნდა ვაწარმოოთ მშობლებს შორის სათანადო მუშაობა და უნდა განუმარტოთ მათ, რომ სოციალისტური სახელმწიფოსათვის ტექნიკურ სამუშაოებზე მისამაგრებლად შაქრო და თამრო ერთნაირად გამოსაყენებელი და სოციალისტური საზოგადოების თანასწორუფლებიანი მოქალაქენი არიან.

ს. აბულაძე.




პიანერები ადგენენ კვადრის ვაშეას



იაპონიის სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი კასახარა ესალმება ახს. ვოროსილოვს

### წითელი მოსკოვის პროლეტარიატმა დიდოსტუპნიჯებით იღლესასწაულა გუშათა საერთაშორისო სოლიდაროვის დღე პირველი მაისი



აღლუმის საერთო სურათი წითელ მოედანზე





# ურონტზე

**ლავარაკოს ტვილისის რ. ბზ. პიონერთა პირველი სკოლა (ყოფილი მ-ს სკოლა)**

## როგორ ჩატარდა ჩვენთან სკოლის პოლიტექნიკა

საბჭოთა სკოლა ამზადებს ახალ კადრებს სოციალისტური მშენებლობისათვის. ამისათვის საჭიროა ცოდნა და გამოცდილება. ცოდნის შეძენა მხოლოდ შრომით შეიძლება.

საბჭოთა სკოლიდან გამოსულმა ახალგაზრდობამ თანდათან უნდა გააფართოვოს თავისი ცოდნა და გამოცდილება, რომ გარდაქმნას ცხოვრება და ააშენოს სოციალისტური საზოგადოება.

ასეთი საზოგადოების ასაშენებლად არ არის საკმარისი მხოლოდ ის ცოდნა და ჩვევათა მარაგი, რომელსაც იძლევა ჩვენი შრომის სკოლა. აუცილებელი იყო სკოლის მუშაობაში ცვლილებები შეგვეტანა.

ახალი კადრების მომზადება მხოლოდ ისეთ სკოლაში შეიძლება, სადაც გონებრივ მუშაობასთან ერთად ფიზიკურ შრომას პირველი ადგილი აქვს დათმობილი. ასეთი სკოლა კი არის პოლიტექნიკური სკოლა.

სწორედ ასეთი სკოლა გვესაჭიროება ჩვენ დღეს, რომელიც გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ წარმოებაში, როგორ უნდა ვიხმაროთ სამუშაო იარაღები, როგორი ნაწილები აქვს მანქანებს, რანაირად უნდა მოვექცეთ ამ ნაწილებს და როგორ გამოვიყენოთ, რომ მანქანამ იმუშაოს და გავიკეთოს, რაც გვჭირდება. აქ გონებრივი შრომაც არის და ფიზიკურიც. ორივე ერთნაირად ვითარდება და ორივე აუცილებელი საჭიროა.

როგორი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა პიონერთა პირველმა სკოლამ პოლიტექნიკის გატარებისათვის?

1) სასწავლო წლის დასაწყისში პედაგოგში, სადაც მოწაფეებიც ესწრებიან, გაკეთებულ იყო მოხსენება და გაშუქებულ იქნა პოლიტექნიკური სკოლის რაობა;

2) ეს საკითხი გადატანილ იქნა პიონერთა საერთო კრებაზე და დამუშავდა მოწაფეთა აქტიური მონაღობით;

3) სამუშაო გეგმა დაკავშირებულია საქ. - საფაბრიკო 7-წლედის პროგრამასთან;

4) სკოლაში მოვაწყვეთ ორი სახელოსნო: სადურგლო და საზეინკლო, სადაც, ცხრილის მიხედვით, დაბალი და მაღალი ჯგუფები რიგ - რიგობით მუშაობენ და იძენენ პოლიტექნიკურ ჩვევებს;

5) სკოლა დაუკავშირდა მთავარი სახელოსნოს საროხოდო ცენტრს და დასდო ხელშეკრულება ერთერთ ვალდებულებათა, რომელიც შედგება ათი მუხლისაგან;

6) შედგენილ იქნა მთავარ სახელოსნოში მე-6 და მე-7 ჯგუფებისათვის სამუშაო ცხრილი და თვითნებულ ჯგუფი ხელოსნების და მასწავლებლების ხელმძღვანელობით სისტემატურად დაიარსება ცენტრი, სადაც პირველი საათიდან მუშაობენ 4 საათამდე, თითო ჯგუფი დეკადაში 2-ჯერ;

7) პიონერები დანაწილებული არიან ცენტრის სამუშაოებში.

8) ყოველი ჯგუფი, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ახდენს თითოეული მოწაფის ნამუშევარის აღრიცხვას, რის შეჯამებამ უნდა მოგვცეს წარმოების მიერ დასახული „საწარმოო - საფინანსო გეგმის“ თუგინდ უმნიშვნელო ნაწილის შესრულებაც;

9) სკოლამ, ხელშეკრულების თანახმად, მთავარ სახელოსნოს, საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავისათვის, გაუყვითა პლაკატები, ლოზუნგები და გამოუშვა ერთი კედლის გაზეთი. მუშებისათვის ჩატარდა მხატვრული საღამო.

ასეთია ჩვენი მუშაობა სკოლის პოლიტექნიკისათვის დაკავშირებით.

## ამხანაგებო, ესლა მოიხინეთ მერკა პატაქი, რომელსაც იძლევა სტალინის სახელობის 1 საცდელ - საჩვენებელი სკოლა

სოციალისტური რეკონსტრუქციის მიმდინარე პერიოდი სასკოლო დაწესებულებების წინაშე გადაუდებლად აყენებს სკოლების პოლიტექნიკის საკითხს.

სახალხო განათლების სისტემის საკითხებზე სპეციალურად მოწვეულმა პარტიათბორმა დაავალა ყველა სასკოლო დაწესებულებას სკოლის პოლიტექნიკის საფუძველზე თავისი მუშაობა შეუფარდონ 5-წლიანი გეგმის განსახორციელებლად დასახულ ტემპებს.


სტალინის სახელობის 1 საცდელ სკოლას აღნიშნული ამოცანების გადასატრეოდ გადადგმული აქვს შემდეგი ნაბიჯები:

ჩვენს სკოლას პოლიტექნიკაში გაკეთებული აქვს როგორც კომუნისტური აღზრდის მთელი სისტემა. პოლიტექნიკის გასატარებლად სკოლამ წინასწარი სამზადისი ჩატარა გასული წლის აგვისტოდან, რაც გამოიხატებოდა შემდეგში:

1) სახელოსნოებისათვის გამოიყენილ იქნა შესაფერი ბინა.

2) სადურგლო სახელოსნო, რომელიც აგებული იყო პედაგოგიკის





დამკვრელი პიონერი მანქანასთან

უკანასკნელ პრინციპებზე, და უმთავრესად შინამრეწველური შრომის ჩვევების გამომუშავებას გულისხმობდა. შევსებულ იქნა ახალი მანქანა-საწყობებით, რომელიც შერჩეულ იქნა პოლიტექნიზმის პრინციპებზე.

3) სკოლამ სადურგლო სახელო სნოსათვის შეარჩია პოლიტექნიზმის პრინციპებთან გაცნობილი ხელოსანი და ჩატარა მასთან მეთოდურ-პედაგოგიური მუშაობა.

4) პედაგოგიურმა საბჭომ სხდომაზე რამდენიმეჯერ გააკეთა მოხსენება სკოლის პოლიტექნიზაციის შესახებ და პრაქტიკულად მიღებულ იქნა ღონისძიებანი ყველა სასწავლო საგნის პოლიტექნიზმის პრინციპებზე ასაგებად.

5) მოწაფეთა საერთო კრებებზე და პიონერ-ორგანიზაციის თათბირებზე ჩატარდა საუბრები სკოლის პოლიტექნიზაციის აუცილებლობაზე და უპირატესობაზე, ოის შემდეგაც გამოიყო ბრიგადები კომკავშირელ-პიონერთაგან პოლიტექნიზაციის ხელის შესაწყობად.

6) ასეთივე მოხსენებები ჩატარდა მშრომელთა საერთო კრებებზე, სადაც ჩამოყალიბდა მშრომელ ინჟინერ-ტექნიკოსთა ბრიგადა პოლიტექნიზმის გატარებისათვის. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლამ გამოიმუშავა წლიური საწარმოო გეგმა, რომელიც აგებულია პოლიტექნიზმის პრინციპებზე.

გეგმა ითვალისწინებს შემდეგს:

1) მომავალი თაობის პოლიტექნიკულად აღზრდას.

2) წარმოების ძირითად პრინციპებთან თეორიულად და პრაქტიკულად გაცნობა - დაკავშირებას.

ამ მიზნით სკოლა დაუკავშირდა ხე-ტყის წარმოებას „ხის ნაწარმი“. ეს წარმოება სახეობით აკმაყოფილებს ჩვენი სკოლის მოთხოვნილებას. წარმოება შესდგება შვიდი სხვადასხვა სააქროსაგან. მას სამი საწარმოო სახე აქვს: სახეინკლო, სადურგლო და სამჭედლო.

სკოლა წარმოებაში ეწევა კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობას. სარეგოლუციო დღესასწაულებთან დაკავშირებით სკოლის მოწაფეები წარმოებისათვის სწერენ პლაკატებს და ლოზუნგებს, ეხმარებიან კედლის გახსენის გამოწვევაში, სკოლის კომკავშირის უჯრედის ბიუროს წევრები განსაკუთრებით დიდ მუშაობას აწარმოებენ პიონერორგანიზაციაში. ჩვენი სკოლის პიონერებს ხელმძღვანელობენ წარმოების მუშები.

წარმოებამ თავის მხრივ უზრუნველყო სკოლა შესაფერი საღმრთეებლო მასალით და იარაღებით. წარმოების წარმომადგენლები მიმავრებულნი არიან სახელოსნოებთან, რის შემწეობითაც საქართველოს გასაბჭოების 10 წლის თავზე სკოლაში გაიხსნა სახეინკლო სახელოსნო. წარმოების წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ სკოლის პედ-საბჭოს მუშაობაში.

წარმოებამ და სკოლამ სასწავლო წლის დასაწყისში დასდეს ხელშეკრულება, სადაც გაითვალისწინეს ყველა ზემოდ-აღნიშნული საკითხები.

სკოლამ პოლიტექნიზაციის მრავალკუთხედად გატარების მიზნით თვით სკოლაშივე მოაწყო სახეინკლო სახელოსნო, შეიძინა საჭირო მანქანა-იარაღები: 15 გირაგი, ბორმანქანა, საბერველი, ჩაქურები, ქლიბები და სხვა ხელსაწყო - იარაღები.

სახელოსნოების ტექნიკურმა მოწყობამ სასკოლო დისციპლინის აწევას შეუწყო ხელი.

სხვა სკოლების სათანადო იარაღებით უზრუნველსაყოფად სადურგლო სახელოსნოს დაწყებული აქვს მუშაობა.

**ამხანაგებო, ახლა მოიხიენით, თუ რა გზააქვთა სკოლის კოლექტივიზაციისათვის პიკველზე პედაგოგიურმა ტექნიკურმა.**

პირველი პედტექნიკური და მასთან არსებული მეორე საფაბრიკო - საჭარხნო სკოლა მშობლებთან, კომკავშირთან, პიონერორგანიზაციასთან და მასწავლებლებთან ერთად დიდი ენტუზიაზმით შეუდგა პოლიტექნიზმის გატარებას; ხეზე და ლითონზე სამუშაოს მოწყობა სახელოსნოს მთავარი საზრუნავი საგანი შეიქმნა. ხელმძღვანელი ორგანოების, მშრომელთა და მასწავლებელ - მოწაფეთა

გამოწვევით, ამ საქმისთვის სულ გადაღებულია 6000 მანეთი: სკოლის პოლიტექნიზაციასთან დაკავშირებით, პედტექნიკური სათანადო ხელშეწყობის ნიადაგზე, შემდეგ წარმოებას: ა) როზა ლუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ტრესტს, სტამბა „კოლექტივი“-ს, ხე-ტყის დამამუშავებელ არტელებს, მუშკოპოს და სხ.

კერძოდ კომკავშირის, პროფკომის, მოწაფეთა და მასწავლებელთა საერთო კრებაზე იღვა საკითხი პოლიტექნიზმის შესახებ და მიღებულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი სკოლებში პოლიტექნიზმის გასატარებლად. მოწაფეები თითქმის მთლიანად ჩაბმული არიან საწარმოო პრაქტიკაში. ფაბრიკა - ქარხნებში მუშაობამ ბავშვებში არაჩვეულებრივი ხალისი გამოიწვია და დიდი ინტერესით მუშაობენ.

**მოიხიენით მეოთხე კატაქი, რომელსაც იპლევა ტვილისის ცენტრალური კვებაგოგიური ტექნიკური.**

ამხანაგებო! ცენტრალურ პედაგოგიური ტექნიკური სხვა ტექნიკურებთან ერთად გადავიდა პოლიტექნიზაციის ღიანდაგზე. აი რა გააკეთა და რას აკეთებს იგი ამისათვის:

ტვილისის ცენტრალური პედაგოგიური ტექნიკური აერთიანებს ოთხწლედს, საფაბ. - საქარხ. შეიღწლედს და ცენტრალურ პედაგოგიურ ტექნიკურს.

სკოლის პოლიტექნიზაცია ფართოდ მიმდინარეობს, სახელობრი: ოთხწლედის თითოეულ უჯრედში მოწყობილია შრომის კუთხე, მე-3



პიონერები საღეს დაზგასთან



და მე-4 ჯგუფი დაკავშირებულია სადურგლო, სახარატო და საყალიბო სახელოსნოებთან, ეცნობიან მარტივ იარაღებს და მუშაობენ. მე-3 ჯგუფი ამზადებს თავისი მთავარი თემის „ქალაქის“ დამუშავების პროცესში ბინისა და ტრანსპორტის მთავარი საგნების მარტივ მოდელებს. მე-4 ჯგუფი საყალიბოში ამზადებს საჭარტველოს, ა. კ. და კავშირის რელიეფებს; ყველა ამ წარმოებულ მუშაობას თავს უყრის და აჯამებს ოთხწლედის მეთოდური კომისია.

სკოლაში მიმდინარე წლის განმავლობაში ტარდება სადურგლო მექანიზაცია, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პოლიტექნიკის სკოლის მე-2 საფეხურში. მოსწავლე აქ იღებს ცოდნას მეცნიერულ ტექნოლოგიურ და საწარმოო შრომის ძირითად საფუძველზე; შრომა, განსაკუთრებით ტექნიკურში, თანდათან ხდება მუშაობის ღერძი.

ტექნიკური შრომისათვის სკოლაში არსებობს სახელოსნოები: სადურგლო, სახეინკლო და საყალიბო; შეიქმნა სამივე სახელოსნოში მუშაობს. ყველა ჯგუფი იყოფა ორ ნაწილად, ერთი ნაწილი მიდის სახეინკლოში, მეორე — სადურგლოში. შექმნილი ხდება შეცვლა. დაკავშირებით და პარალელურად მოსწავლენი ეცნობიან ერთის მხრივ ხეს, ხისა და ლითონის ტექნოლოგიას, მეორეს მხრივ — მანქანათმშენებლობას. მე-4 მე-5 და მე-6 ჯგუფები მიმაგრებული არიან გალექტის ფაბრიკასთან. მე-7 ჯგუფი მიმაგრებულია მე-8 სემესტრიდან პოლიგრაფიულ წარმოებასთან.

რაც შეეხება ტექნიკურს, აქ თითოეული კურსი იყოფა სამ ნაწილად.

ერთი მუშაობს სახეინკლოში, მეორე სადურგლოში, მე-3 — მუყაოზე, თხაზე და ქსოვილებზე. ტრინისტრის გათავებისას ხდება შეცვლა.

ტექნიკურის მსმენელები იარაღების პოლიტექნიკური ჩვენებით, რომ უფრო ადვილად შესძლონ პირველი საფეხურის სკოლაში მუშაობის დროს პოლიტექნიკის გატარება. ამას გარდა, ტექნიკური მიმაგრებულია ახს. სტალინის სახელობის სარემონტო ქარხანასთან და პოლიგრაფტრესტის სტამბასთან.

ყველა აღნიშნულ წარმოებასთან დადებულია სპეციალური ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს სკოლის და ქარხნის ურთიერთ ვალდებულებებს. როგორც შეიქმნა დღეში, ტექნიკურში, მოსწავლენი ეცნობიან ლითონის და ხის ტექნოლოგიას და აგრეთვე ელექტროტექნიკას.

სკოლის მასწავლებლების მიერ პოლიტექნიკის საკითხი დამუშავებულია და ტარდება, თითოეულ საგანში. საგნობრივი კომისიები თავს მუშაობას საფუძველად პოლიტექნიკურს უდებენ. სასწავლებლის მოსწავლეთა და მშრომელთა შორის წარმოებულია და სწარმოებს ფართო აგიტაცია - პროპაგანდა სკოლის პოლიტექნიკური გარდაქმნის შესახებ. სკოლასთან ერთად პოლიტექნიკის ატარებს თავის მუშაობაში სკოლასთან არსებული ნ. პ. კოლექტივი; ეს საკითხი საერთოდ კრებაზე დამუშავდა. მოწყობილია პიონერის თვითშემოქმედების კუთხე, რომელშიაც ეწყობა პიონერთა მიერ გაკეთებული საგნების გამოფენები — საავიაციო,

სატრანსპორტო და სასოფ. - სამეურნეო იარაღების მოდელების, დაჭრილია კავშირი ხეტყის გრაფიულ წარმოებასთან; ონერები აწარმოებენ პრაქტიკულ მუშაობას და ეცნობიან ტექნიკას.

ასეთი ტემპებით მიმდინარეობს ტღალისის სკოლების პოლიტექნიკურად გარდაქმნის საქმე.

ჩვენ ვიტყვი, რომ მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს.

საჭიროა საქმის უკეთ წარმოებისათვის სკოლებმა გააღრმავონ კავშირი წარმოებასთან და ფართოდ გაშალონ დამკვეთობა, სოცმეჯიბრი და საზოგადოებრივი ბუქსირი. ყველა ამ საშუალების ურყევად გატარება მოგვცემს გარკვეული კვალიფიკაციის მქონე ახალგაზრდას, პოლიტექნიკური ცოდნით შეიარაღებულს.

## ძია მიხას საფუზაო

როგორ ბრუნავს ასე მძაფრად ამ ღუმელში ცეცხლის ალი... აკლავება, დაიძვრა ფრთებშია და ფრთებმალი!

ძია მიხას ცეცხლფარეში აი აღმურში ისე ბრუნავს, რომ დანთებულ მის თვლებში არჩანს, რომ სიცხე მოუღუწავს.

მაზუთი რომ იწვის, დნება ქვების ძირზე ორთქლის ალი... ძოველება, მოედება ფრთებშია და ფრთებმალი!

ძია მიხას შუბლის ნაოქს კეიდება ოთრი ცვარად, კვლავ მაზუთი ეხლა უნდა ცეცხლის გრიასს შეაჯამოთორემ ქვაბი ამოიწვა, იორემ ქვაბი დაიკალა!

აშიშინდა და აიოიოდა ქვაბში მდგაოი წყალი ისე, რომ მილებში გადაღუნა, ნაკადებად დენა მყისვე.

ძია მიხას უყვარს ორთქლი და მაზუთის ცეცხლის ალი, როცა ქვაბის ძირიდანვე დამძაფრებით და გუგუნით ისე მოქრის, რომ ეს ალი,

ფრთებშია და ფრთებმალი, სახეს უნთებს და უღუწავს გაეღვებულ სვლის სიმძლავრით:

შალვა შაველაშვილი.





ო ჯ ა ს ი

საერთოდ ყოფაცხოვრების საკითხებში ოჯახის საკითხი ერთ-ერთი პრობლემატიური ამოცანაა. საკითხი ოჯახის შესახებ ჯერ კიდევ თითქმის გადაუჭრელია. ბევრი ამხანაგი დღესაც იცავს იმ უხეირო აზრს, ვითომდა კომუნისტურ საზოგადოებაში ოჯახი უნდა მოიხსნას. ამ აზრს დღესაც აქვს გასავალი. ამ რამდენიმე თვის წინ ერთ-ერთ სკოლაში მქონდა შემთხვევა დავსწრებოდი ლისპუტს ახალი ყოფა-ცხოვრების შესახებ. მომხსენებელი ტრიბუნიდან დიდი რიხით „ამტიციებდა“ ოჯახის მოსპობის აუცილებლობას და დასძინდა:

ის ამხანაგი, რომელიც იცავს ოჯახის საკითხს, ძალზე ცდება და მას არაფერი არ გაეგება.

ეს დებულება ძირშივე შემცდარია. კომუნისტურ საზოგადოება ოჯახს არ სპობს, მხოლოდ ბურჟუაზიულ ოჯახს, ოჯახს, რომელიც აღმოცენებულია ეკონომიური უთანასწორობის ნიადაგზე, ოჯახს, სადაც მამაკაცსა და დედას შორის ბატონ-ყმური დამოკიდებულებაა, — კომუნისტური საზოგადოება უფკველად გააუქმებს, მას საშუალებას დოღს დაადებს. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ჩვენ კომუნისტურ საზოგადოებაში არ გვექნება ოჯახი? არა, არ ნიშნავს. თუ დღეს სოფელი სოციალისტური განვითარების გზით მიდის, თუ ჩვენში იმარჯვებს სოციალისტური სექტორი კაპიტალისტურზე, ცხადია, რომ უნდა შეიქმნას ახალი სოციალისტური ეკონომიკის შესაფერისი ზედნაშენი.

სოციალისტური ეკონომიკა შექმნის ზედნაშენს, რომელიც ეკონომიურ უთანასწორობაზე კი არ იქნება აღმოცენებული, არამედ თანასწორობაზე.

ყოველად მიუღებელია მტიციება, ვითომ კომუნისტური საზოგადოება მოსპობს ოჯახს. მარქსიზმის უდიდეს კლასიკოსებს (მარქსს, ენგელსს, ლენინს და სხვებს) არსად არასდროს არ დაუმტკიცებიათ, რომ ოჯახი უნდა მოიხსნას კომუნისტურ საზოგადოებაში.

დღეს ჩვენ ვიბრძვით კომუნისტური ოჯახისათვის, ჩვენ ვიბრძვით ბურჟუაზიული ოჯახის წინააღმდეგ. არ ვმალავთ იმ ფაქტს, რომ დღევანდელი ოჯახი კიდევ საკმაოთაა დამიმუხტული ძველი ბურჟუაზიული ჩვეულებით, მაგრამ ეს მდგომარეობა არ ნიშნავს იმას, რომ ოჯახს სამკვდრო — სასიცოცხლო ომი უნდა გამოუცხადოთ. ჩვენ მუდამ უნდა ვიბრძოდეთ ბურჟუაზიული, მეშინურ-ობივიტული ოჯახის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბრძოლის დროს არ დავივიწყებთ იმასაც, რომ ძველ ოჯახთან ბრძოლაში ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი, კომუნისტური ოჯახი, რომელიც პარტიის დამხმარე უფრედი უნდა იყოს. კომუნისტური ოჯახისათვის პირველ რიგში უნდა იბრძოლოს ყოველმა პარტიულმა, კომკავშირულმა და პიონერმა. „კომუნისტის და კომკავშირელის ოჯახი პარტიის დამხმარე უფრედი უნდა იყოს.“ (ნ. კრუპსკაია).

კომუნისტური ოჯახი ბოლოს უღებს ანარქიას, დამონების ყოველგვარ კონკრეტულ მოვლენას, ბოლოს უღებს პროსტიტუციას და იბრძვის ჯანსაღ მოდემისათვის. ბურჟუაზიულ ოჯახს არ შეუძლია შექმნას ჯანსაღი მომავალი თაობა, რადგან მისი ყოველი ნახვრეტიდან სწევთ სიბინძურის და გარყვნილების ბალღამი. ბურჟუაზიული ოჯახი პროსტიტუციის წუშპეშია ჩაფლული. კომუნისტური ოჯახი სამკვდრო-სასიცოცხლო ომს უცხადებს ასეთ განწყობილებებს. ბევრი ჭკუადამჯდარი ფიქრობს, რომ არ შეიძლება შეიქმნას კომუნისტური ოჯახი, რადგან თვით ოჯახი ისეთი ცნებაა, რომელიც ვერასდროს თავს ვერ დააღწევს ბურჟუაზიულ ჩვეულებებს. ბევრი იმასაც ფიქრობს, რომ თუ შეიქმნა კომუნისტური ოჯახი, კომუნისტურ საზოგადოებაში ყველაფერი განსაზოგადოებული იქნება, აქედან, მათი აზრით, მოხდება ცოლების განსაზოგადოება, ე. ი., მათი შეხედულებით კომუნისტური საზოგადოება და კომუნისტური ოჯახი ხელს უწყობს გარყვნილებას და პროსტიტუციას.

მარქს-ენგელსის „კომუნისტური მანიფესტის“ პირველ პრაქტიკულ სხვათა შორის გვხვდება ასეთი კითხვა: „რა გავლენას იქონიებს ოჯახზე კომუნისტური საზოგადოება?“. აღნიშნულ კითხვას „კომუნისტუ-

რი მანიფესტი“-ს ავტორები იქვე ასევე პასუხს:

„ადამიანთა შორის სქესობრივ დამოკიდებულებას გადაეცივს მათ კერძო საქმედ, რომელიც შეეხება მხოლოდ ამ საქმეში მონაწილე პირებს და არა საზოგადოებას. ის ამას შესძლებს მით, რომ მოსპობს კერძო საკუთრებას, დააკანონებს ბავშვების საზოგადო აღზრდას და მასთან ერთად მოსპობს თანამედროვე ქორწინების ორსავე საფუძველს—დედა-ბავშვის მამაკაცისა და დამოკიდებულებას და ბავშვების მშობლებისაგან დამოკიდებულებას, რაც გამოწვეულია კერძო საკუთრებით.“<sup>1)</sup>

ეს არის პასუხი მდებარე მოქალაქეთა წუწუნზე კომუნისტურ საზოგადოებაში ცოლების განსაზოგადოებაზე. ცოლების განსაზოგადოება ისეთი მოვლენაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიული საზოგადოების კუთვნილებას შეადგენს და რომელიც დღეს არსებობს პროსტიტუციის სახით. პროსტიტუცია ეყრდნობა კერძო საკუთრებაზე და გაქრება მასთან ერთად.

ამრიგად, კომუნისტური საზოგადოება კი არ აწესებს ცოლების განსაზოგადოებას, არამედ, პირიქით, სპობს მას).

როგორც ვხედავთ, კომუნისტური ოჯახი ყოველგვარი ძალმომრეობის, გარყვნილების და სქესობრივი ანარქიის ნორმებს აუქმებს.

### ოჯახის კლასობრივი შინაარსის შესახებ

ოჯახის ცნებაში უაღრესად კლასიური შინაარსი ძვეს. ისტორიის მთელ მანძილზე ოჯახი ვაბატონებული კლასის იარაღს წარმოადგენდა. ბურჟუაზიული ოჯახი თავისი კლასის ინტერესებს ემსახურებოდა. გარყვნილება, პროსტიტუცია, ოჯახური ძალმომრეობა, ექვიანობა, — ბურჟუაზიული ოჯახის სვეციფიური მხარე.

„ბურჟუაზია ბევრს ლაპარაკობს ოჯახურ ურთიერთობათა სიწმინდის შესახებ, სინამდვილის უხეში სურათის დასამალავად მიმართავენ ფარისევლოვარ ოჯახურ ლოიას. ბურჟუაზიული ქორწინება უკვე დიდი ხანია გადაიქცა სავაჭრო საქმედ. ოჯახურმა ურთიერთობამ უკვე დიდი ხანია დაკარგა ის ინტიმობისა და გულახდილობის ხასიათი, რომელზედაც სჯაბასი ერთობ უყვარს ოფიციალურ ბურჟუაზიულ იდიოლოგიას.“<sup>2)</sup>

ბურჟუაზიული ოჯახი ძალმომრეობისა და გარყვნილების საზუდარია. ბურჟუაზიულ ოჯახს დაკარგული აქვს საზოგადოებრივი აქტუალობის ყოველგვარი ხასიათი. ბურჟუაზიული ოჯახი ეკონომიური უთანასწორობის შედეგია, სადაც ქალსა და მამაკაცს შორის ძველი ბატონყმური დამოკიდებულება არსებობს. ქალის ცხოვრება ბურჟუაზიულ ოჯახში საკუჭნაოში იწყება და მისი სიცოცხლეც იქვე თავდება. მამაკაცი ბატონია. ცოლს არ შეუძლია „გადააჭარბოს“ მას, ეს ხომ მამაკაცის დამცირება იქნება. ქალი ყურმოჭრილი მონა მამაკაცის და მისი უკანონო მოქცევის წინააღმდეგ მისი ამოღებასაც ვერ ბედავს. ოჯახური ურთიერთობის ეს სახეობა და შინაარსი ბურჟუაზიის ესაჭიროება თავისი არსებობისათვის, ესაჭიროება სხვისი დამონავებისათვის.

1) „კომუნისტური მანიფესტი“, გვერდი 283—284.

2) „კომუნისტური მანიფესტი“, გვერდი 170.



ანტიფაშისტური დემონ სტრაცია ბრიუსელში



„ახალგაზრდა ბურჟუაზიას სურს იყოს დამოუკიდებელი თავისი საკუთარი ოჯახიდან და პრაქტიკულად არღვევს ოჯახს თავის სასარგებლოდ. მაგრამ ქორწინება კერძო საკუთრებაა. ოჯახი თეორიულად ხელუხლებელი რჩება, ვინაიდან ის წარმოადგენს იმ პრაქტიკულ საფუძვლს, რომელზედაც ბურჟუაზიამ ააშენა თავისი ბატონობა... ბურჟუა ისტორიულად აძლევს ოჯახს ბურჟუაზიული ოჯახის ხასიათს, რომლის შემკავშირებელ ელემენტსაც წარმოადგენს მოწყობილობა და ფული და რომელთანაც აგრეთვე დაკავშირებულია ოჯახის ბურჟუაზიული განხრწნა, როცა თვით ეს ოჯახი კვლავ განაგრძობს არსებობას. მის ბინძურ არსებობას შეეფერება მისი უწყინდისი შემეცნება, რომელსაც ადვილი აქვს ოფიციალური ფრაზეოლოგიასა და საერთო პირმოთნობაში“<sup>1)</sup>

ყოველივე ამაში გარკვეული კლასიური შინაარსი იმალება. ბურჟუაზიამ დღემდე შექმნა ოჯახის თავის ყაიდაზე მოწყობა. ქალის დაბეჩავება - დამონაგებას განა კლასიური შინაარსი არ ჰქონდა, რასაც ბორკილები მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ დაუღწია? ბურჟუაზიულ ოჯახსა და მის მანვე ჩვეულებებს კაცობრიობა გარყვნილებს და გადაგვარებისაკენ მიჰყავს. მეძვირ ქალები, რომლებიც მილიონობით არიან — მსოფლიოს ყოველ ქუჩაში დაწანწალოზენ და ვაჭრობენ სხეულით, განა ბურჟუაზიული უკუღმართი ყოფის შედეგი არაა?

„პროსტიტუცია, მაჰანკლობა, ცოცხალი საქონლით (თეთრი მონებით) ვაჭრობა, რომელიც მე-19 საუკუნეში გადაიქცა მთელ ქვეყნიერებაზე მოფენილი ორგანიულ ქვეყნიერებაზე მოფენილი ორგანიზაციებით, ვენეროლ ავადმყოფობათა ეპიდემიური გავრცელება, — აი შედეგები ბურჟუაზიული ოჯახის და ქორწინებისა“<sup>2)</sup>

ბურჟუაზიული ოჯახის და ქორწინების სურათი ჩვენთვის ნათელია. სქესობრივი ანარქიზმი და პროსტიტუცია კაცობრიობის განვითარების უდიდესი მტერია. მოისპობა რა ძველი ეკონომიური წყობა თავისი ზედნა შენებით, მოისპობა და განადგურდება, როგორც ეკონომიური უთანასწორობის კათე-

გორია, პროსტიტუცია და გარყვნილების ყოველგვარი ფორმა.

ფრ. ენგელსი თავის წიგნში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ სწერდა: „...როდესაც ადამიანი ჩაყენებულია ისეთ პირობებში, რომელიც მხოლოდ ცხოველს დააკმაყოფილებს, იგი ან უნდა ალაშფოთოს ასეთმა ცხოველებმა, ან არა და თვით გადაიქცეს ასეთ ცხოველად. და ბურჟუაზიას ყველაზე უფრო ნაკლებად, ვიდრე სხვას, აქვს უფლება დააყუდროს მუშებს მათი სქესობრივი თავაშვებულობა, ვინაიდან თვით იგი უწყვეტ დახმარებას პროსტიტუციის ზრდას. რამდენს არჩენს ბურჟუაზია იმ 40.000 მეძვე ქალში, რომელნიც ყოველ საღამოობით ავსებენ ლონდონის ქუჩებს? რამდენი მათგანი არის იძულებული იმისათვის, რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს, მიჰყიდოს თავისი სხეული პირველსავე შემთხვევით გამვლელს, ვინაიდან იგი შეაცდინა ბურჟუაზიამ“<sup>3)</sup>. აი ნამდვილი სურათი ბურჟუაზიული ოჯახის და ქორწინების. განა დღევანდელი ბურჟუაზიული ქვეყნები გადაგვარებისა და განხრწინების გზაზე არ არიან დამდგარი? განა დღესაც პარიზის კაფე-შანტანებში ათასობით არ დახეტიალობენ მეძვეები? ყოველივე ეს ხომ ბურჟუაზიულმა ყოველმა და ოჯახმა შექმნა! ბურჟუაზიული ოჯახი ქალს მიწასთან ასწორებს და ბოჰავს ოჯახის ბორკილებით.

ძველი ბურჟუაზიული ოჯახი დღეს დაშლის გზაზეა დამდგარი. იგი უნდა მოკვდეს თავისი მანვე ჩვევებით — ასეთია ისტორიული აუცილებლობის კანონი.


ჩვენ სოციალისტური მშენებლობის პერიოდში ცვცხოვრობთ, როდესაც ჩქარი ტემპებით მივდივართ წინ. ჩვენ ვახდენთ რეკონსტრუქციას სოფლის მეურნეობის დარგში. მაგრამ გარდატეხა და რეკონსტრუქცია ჯერ კიდევ არ მომხდარა ყოფა-ცხოვრების საკითხში. ძველი ოჯახის ფორმები ჯერ კიდევ საკმაოდაა ჩვენში. ჩვენი დღევანდელი ოჯახი არაა კომუნისტური, იგი ნახევრად წვრილბურჟუაზიულია. ოჯახის ეს კათეგორია უნდა დაინგრეს. ასე დგას დღეს პრაქტიკულად საკითხი.

ბურჟუაზიულმა ოჯახმა ჩვენ მემკვიდრეობით გვიანდერმა ოჯახური ძალმომერება, ბატონყმური დამოკიდებულება მამაკაც - დედაკაცს შორის, იჭვიანობა, ცემა-ტყეპა, მკვლელობა და სხვა.

### ძალმომერება და ეჭვიანობა ბურჟუაზიული ოჯახის ნაშთობია

ბევრი არის ჩვენი ოჯახის ყოველდღიურ პრაქტიკაში ძალმომერებისა და ეჭვიანობის ნიადაგზე აღმოცენებული უბედურება. ეჭვიანობა ბურჟუაზიული ოჯახის სენია, რის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია. ჩვენ არა ერთი და ორი ფაქტი ვიცით, იჭვიანობით გამოწვეული. ხშირია ოჯახში ცოლ-ქმარს შორის იჭვიანობის ნიადაგზე დაუსრულებელი ჩხუბი და ოჯახური დრამები, რაც ხანდახან მკვლელობით და თვითმკვლელობით მთავრდება. ასე, მაგალითად, ამ რამდენიმე თვის წინ. ქ. ხონში ცოლმა იჭვიანობის ნიადაგზე რევოლვერით მოჰკლა კომკავშირელი ქმარი და თითონაც მოიკლა თავი. ს. ხუნწუში ცოლმა ქმარი დანით მოჰკლა. რას გვეუბნება ყოველივე ეს თუ არა მას, რომ ეჭვიანობა ბურჟუაზიული ოჯახის განუყოფელი თანამგზავრია.

არა ნაკლები ზიანი მოაქვს ადამიანთა მოდგმის განვითარებაში ძალმომერებას, ისტორიულად მამაკაცი ბატონობს ქალზე. ცოლი მონაა ქმრის. იგი მიჯაჭვულია ოჯახზე. ბურჟუაზიულ ქვეყნებში დღესაც გა-



სვანეთი

ნსაკუთრებული კანონები არსებობს. ქმარს უფლება აქვს ცოლს რაც უნდა ის უქნას, როგორც თავის კერძო საკუთრებას, კიდევ მოჰკლავს, კიდევ გაავადებს, სცემს და სხვა. ქალს არა აქვს უფლება ამოიღოს ხმა ამ სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ. მისი გზები ყოველმხრივ შეკრულია, დაწყებული ოჯახით და დამთავრებული სასამართლოთი. არის ბევრი ისეთი ქალი თუ კაცი, რომელნიც იცავენ ოჯახურ ძალმომერებას, ბატონყმურ დამოკიდებულებას ცოლსა და ქმარს შორის; მათი აზრით „შიში შეიქმნის სიყვარულს“, „ქალს უნდა ეში-ნოდეს მამაკაცის“. ასე მსჯელობენ ისინი. ეჭვიანობა, ოჯახური ძალმომერება, ბურჟუაზიული ოჯახის შედეგია და მათ წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენთვის გადაუდებელი ამოცანაა, რადგან ოჯახური ძალმომერება და იჭვიანობა ანადგურებს ადამიანთა მოდგმას“<sup>4)</sup>.

კ. მელაძე.

## საქსოვ ცეხიდან

მქსოველებო! სწრაფად ქსოვეთ, მიცვეთ დაზგას მარდი ხელი, მანქანები შრომას გვთხოვენ, და, მკერდები ოფლის მღვრილი..


ოფლი ვღვაროთ, და ამ ოფლით ქსოვილები დავსაცვლოთ, მომავალი მიცვეთ მხარეს! ღებნა ქსოვილს ჩავაქსელოთ...

მშრომელებო! არ იფიქროთ, ამ მკერდების ოფლის ღვარი, — დაიკარგოს უმიზეზოდ, — ჩვენი მქლავის მონაგარი უბრუნდება ქარხნის ევოს!

ხელი დაზგას! ეს ძაფები — გაწყვეტილი გადაბითი, თორემ რას გავს, თაღლითობით ვერ მივალწევთ ჰზიან ნაპირს!

არ იფიქროთ ჩვენი შრომა უმიზეზოდ დაიკარგოს, — იყოს ოფლი უნაყოფო — ან უბრალოდ დანალვარი! — დამკვრელებო! არღათ ქსოვეთ, კენში ხმები გაიშალოს, — რომ პროლეტკი უხვად ქონდეს საბჭოეთის მზიან მხარეს!

დამკვრელი მუშა: მიხ. ძარცივაძე.



სოფელი სვანეთში

1) „კომუნისტური მანიფესტი“, გვერდი 171.  
2) „კომუნისტური მანიფესტი“, გვერდი 172.

\*) „...ომ. მანიფესტი“, გვერდი 172.  
\*) ამ საკითხის შესახებ ქართულად არსებობს მეტად საინტერესო წიგნი: „შობანი — ძალმომერება ოჯახურ ყოფაცხლებებში“.

\*) აღნიშნული წერილი წარმოადგენს ამხ. კ. მელაძის წიგნის „ბრძოლა ახალი ყოფაცხოვრებისათვის“ ერთ-ერთ თავს. ეს წიგნი ახლო მომავალში გამოვა.  
რედაქცია.





გაშლილი სოციალისტური შეტევის პერიოდში ბრძოლას საბავშვო კომუნისტური ლიტერატურის დასაპყრობად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბავშთა კომუნისტური მოძრაობა მოითხოვს ბავშთა კომუნისტური ლიტერატურის ჩქარი ტემპით განვითარებას. ამ მიმართულებით პროლეტარული მწერლები ძლიერი ნაკლებად მუშაობენ. ხოლო სხვები კი უმთავრესად ყოველად გაუმართლებელი შინაარსის მოთხრობებს გვაწვდიან. ჩემს მიზანს შეადგენს ამ პატარა წერილში მკითხველს ვესაუბრე ს. რემონიძის „დამკვეთი რეზო“-ს შესახებ.

მოთხრობის მოკლე შინაარსი შემდეგია: რეზო ვარდიძე ცუდი მოწაფეა. ზარმაცობს, გაკვეთილებს არ ამზადებს და სწავლაში ძლიერ ჩამორჩენილია. მასწავლებლები და რეზოს დედა იმის ცდაშია, რომ რეზოს როგორმე სწავლა შეაყვარონ მაგრამ ამოდ. ერთ დღეს რეზოს ჩვეულებრივად დაავიანდა. გამგე მას სკოლიდან დათხოვნით ემუქრებოდა, რეზო სთხოვს უკანასკნელად აპატიოს. გამგე სურვილს შეუსრულებს. სახლში დაბრუნებული რეზო თავს აცხადებს დამკვეთად და სწერს დღიურს საქმიანობის შესახებ. მართლაც რეზო გაამართლებს დამკვეთობის სახელს და საუკეთესო მოწაფე ხდება მიტელ სკოლაში.

ერთი შეხედვით გეგონება, რომ ყველაფერი რიგზეა. ცუდმა მოწაფემ თავი გამოაცხადა დამკვეთად და კარგი გახდა. მაგრამ თუ სერიოზულად ჩაუფიქრდებით მოთხრობის შინაარსს ვნახავთ, რომ მას არ შეუძლია მოზარდ ახალგაზრდობას მისცეს რაიმე ახალი. საბჭოთა სკოლა და მოწაფე ფრიალ მდიდარი თემაა. რასაკვირველია, თავის დამკვეთად გამოცხადება როგორც მოწაფის, ისე მასწავლებლის, სასიხარულოა, მაგრამ ეს ფაქტი ელამის თვალში არ უნდა იქნეს დანახული. „დამკვეთი რეზო“ იდეოლოგიურად გაუმართლებლად მიგვაჩნია და აი რატომ:

უპირველეს ყოვლისა საბავშვო ლიტერატურა ყველა ბავშვის შეგნებაში უნდა აღვიძებდეს კლასიურ ინტერესს იგი კომუნისტური იდეებს უნდა უნერგავდეს ყოველ მოწაფეს. რემონიძის მოთხრობა ყოველივე ამას მოკლებულია. იგი ჩვენი კლასიური ინტერესების გარეშე დგას.

მოთხრობის მთავარი თემა მოწაფის დამკვეთობაა. რეზო ავტორის წარმოდგენაში დამკვეთელს განსახიერებაა, ჩვენ კი ვფიქრობთ რეზო დამკვეთი მოწაფის კარიკატურაა,

ვიდრე ნამდვილი დამკვეთი მოწაფე. ერთ მშვენიერ დღეს რეზო თავს დამკვეთად აცხადებს და სწერს ხელშეკრულებას თავის თავთან „ჩემი დღიურის“ სახით, ვნახოთ რეზოს საქმიანობა: „ვწვები თავის დროზე, და ვდებები თავის დროზე. ხელ-პირა ვიბან საპნით, პური მომაქვს, ცოტას ვთამაშობ“. განა მოწაფის ყოველდღიური საქმიანობა ამით განისაზღვრება, რომ „აკადემიზმში“ ჩაიკეტო და წიგნების იკით არაფერი დაინახო? განა თანამედროვე რეკონსტრუქციის პერიოდში მოწაფის დამკვეთობა „ადრე ადგომაში“ მდგომარეობს? რათ დაავიწყდა რემონიძეს მოწაფე, როგორც საზოგადოებრივი პოლიტიკური მუშაკი. რატომ გამოჩნდა მას ეს ძლიერი სფერო ბავშვის საქმიანობისა. გადავშალოთ და ვნახოთ თუ რაზე სწერს რეზო თავის დღიურში. 1931 წლის იანვარში, როცა ჩვენ ვიპოვეთ ბოლო სოციალისტური აღმშენებლობის (გადამწყვეტ წელში, როდესაც მთელი ჩვენი საქმიანობა გეგმის შესრულებისაკენ უნდა მივმართოდ, ამ დროს გამოდის ს. რემონიძის რეზო და ლაპარაკობს: „დედის ნებატოვით ვიცოცხლე ერთ საათს. კარგია ზამთარი თოვლის პანტილი უკვად მოცვივა და მოცვივა ჯივრიდან. დღეს სოფლიდან ჩამოვიდნენ დედა ჩემი და ჩამოვიტანა: ქათამი, ვაშლები, ჩურჩხმლა“. დამკვეთი მოწაფის ასეთი დაცლა საზოგადოებრივ პოლიტიკური შინაარსისაგან — ყოველად დაუშვებელია. რატომ სწავლობს რეზო. ეგებ სურდეს ამით სა-

ზოგადობას გამოადგეს და დაეხმაროს ჩვენი სოც. მშენებლობას. არა, აი თურმე რატომ სწავლობს რეზო: „სწავლას დავასრულებ, სამსახურში დავდგები და დედაკოს დავასვენებ“, რასაკვირველია კარგია დედის პატივისცემა, მაგრამ სამსახურით და ჯამაგირით ყველაფრის გაზომვა — მეშინის დამახასიათებელია და მას არაფერი არა აქვს საერთო ჯანსაღ დამკვეთ მოწაფესთან. რემონიძეს უკლებათ ესმის დამკვეთობის შინაარსი — შენ იცი რა არის დამკვეთობა ეკითხება რეზო დედას.

— რატომ არ ვიცი, ბიძა შენიც ხომ დამკვეთელია, როგორ ადრე დგება.

რემონიძის ცნობიერებაში რეზოს ბიძა თურმე იმითმ ყოფილა დამკვეთი რომ ის „ადრე ადგა“, რემონიძე აყალბებს დამკვეთობის შინაარსს და ეს არც გასაკვირია“ ჩემი თბილისის“ ავტორისაგან.

თუ კიდევ ამას დაუმატებ რემონიძის წუწუნს იმის შესახებ, რომ რეზოს დედას „პურის რიგში მაინც საკმაოდ დახვდა ხალხი“, მაშინ მოთხრობის შინაარსის მოყვანილი აზრები გასაგები გახდება და ამითმ ჩვენი მკითხველებისათვის მას არ შეუძლია სარგებლობის მოტანა.

სამწუხაროა, რომ ამ პატარა წიგნზე დიდ რეცენზიას ვწერთ, მაგრამ ეს აუკილობელია. საჭიროა საბავშვო წიგნებზე მეტი ყურადღება.

ს. რემონიძის „დამკვეთი რეზო“ როგორც უცხო იდეოლოგიის მატარებელი უნდა მოსცილდეს ჩვენი საბავშვო წიგნის ბაზარს.

ალ. ჩავლიეშვილი.

### შეცდომა გამოსწორება

მასის საღამოს 8 საათი იქნებოდა, როდესაც გივი პოინერკოლექტივის კრებიდან ძალიან დაღლილი დაბრუნდა შინ. დაღლილობის გარდა გივის კიდევ უფრო მეტად აწუხებდა კრებაზე მოსმენილი ბეჭდვითი დღის მნიშვნელობის საკითხი. ის გულდაწყვეთით უსაყვედურებდა თავის თავს, რომ ის, გივი, სამაგალითო მოწინავე და მთელ პოინერ კოლექტივში მისაბადი ამხანაგი, სამარცხვინოდ ჩამორჩა სხვებს, დაუშვა შეცდომა, რომ 1931 წლის დასაწყისშივე ხელი არ მოაწერა თავის საყვარელ ჟურნალს „პოინერს“.

5 თვე უკვე გასულია. რამდენი დრო დამიკარგავს ვინ გამოარკვევს, თუ რა მოხდა ამ წნის განმავლობაში? ვინ გამოცნობს 5 წულის მესამე გადამწყვეტი წლის ამოცანებს? ვინ დამეხმარება საზოგადოლო საბანაკო მუშაობის ახალი საკითხების გარკვევაში ან და სად ვავიგებ, თუ რა ხდება ბავშთა კომუნისტურ მოძრაობაში საზღვარგარეთ და ჩვენში!

გივის აზრები ერთიმეორეში ირთოდა, და ის ძალას ატანდა თავს ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელის მოსაძებნად.

— შეიძლება უფრო „პოინერი“ აღარც კი გამოდის? გაიფიქრა გივიმ და ფერი ეცვალა.— არა! ყველაფერს გავიგებ, დანაშაულს გამოვასწორებ. ჯერ 7 თვეა დარჩენილი კიდევ.— დაიბუტბუტა მან კმაყოფილებით და...





— ამ შენობაში არის ცნობათა ბიურო? შეეკითხა გვიგ საფუშაგოზე მდგომ მილიციელს და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ მარდათ აირბინა კიბეზე.

პატარა ფანჯარასთან დერეფანში გრძელი რიგი იდგა. ფანჯრის შიგნით იჯდა ცნობების მიმცემი, ნაწილის მოსმელი ქალი. ცნობების მიმცემ „ბებიას“ ცოტა უფრო აკლდა, გულმავიწყი იყო და მინი და მინი ც გრძელი ბაასის მოყვარულიც არ გახლდათ. მის ძალიან ეზარებოდა ხალხი და რიგში მდგომნი უსაქმო ცნობისმოყვარეებად მიიჩნდა, რადგან ხალხი დიდიდან საღამომდე გამოუღეველად იდგა ფანჯარასთან და, საქმიან შეკითხვებს გარდა, ბევრი მათგანი ეკითხებოდა:

— რომელი ობლიგაცია იგებს 100.000 მანეთს და ჩემსას ხომ არ ერგო?

— ხომ არ იკით, როდის იქნება ძაღლების გამოფენა?

— რამდენია ჯარიმა რონოლიდან გადაფურთხებისათვის?

— ხომ არ მოელთან ტფილისში კიდევ ამანულა ხანს?

— ტფილისის ობსერვატორიამ მართლა იწინასწარმეტყველა მისში თვლის მოხვლა?

— რამდენი მწერალი მოხვდება კიდევ მწერალთა პანთეონში და რომელი უწინ?

— სახელგამო ფიქრობს თუ არა რამეს საბავშვო ლიტერატურაზე?

რიგმა გვიგ მოუწია.

— ამხანაგო, დაიწყო გვიგ, — უფრო „პიონერი“ გამო....

— გამოფენა მისის ბოლოს იქნება დილით. რონოდა № 13, — უბასუხა „ბებია“.

— არა! ხმამაღლა წამოიყვია გვიგ და აუხსნა, რაც აინტერესებდა.

ცნობების მიმცემმა „ბებია“ ჩაიკვნესა და იმ წამსვე სტაცა ხელი ტელიფონს, ილაპარაკა ვილაცას და შემდეგ ფანჯარაში თხზრა გვიგის:

— მოქალაქე, „პიონერი“-ს რედაქციამ მიბასუხა, რომ „პიონერი“ სისტემურიად გამოდის თვეში ორჯერ. ხელმძღვანელობს ახალი რედაქცია, მონაწილეობენ მწერალთა ახალი ძალები, აფრნალი საგრძნობლად გაუმჯობესდა, თანამშრომლობენ პიონერთა ახალი კადრები, პასუხს იძლევა ყველა სადღიოს ამოცანებზე, ჰყავს მასიური ხელმომწერლები და მთლიან ორგანიზაციებიც, წ თითო დირს 2-20 ს. ცალკეული № 20 კაპ. ხელმომწერა მიიღება ტფილისში სახელგამის პერიოდსიქროში — რუსთაველის პროსპექტი, № 30, სახელგამის ყველა მაღაზიაში და ოსტატრიკარაფის ყველა განყოფილებაში.

მეორე ორიგ პ. კოლექტივში გაკრული იყო ლოზუნგები:


მოვალეობა ყველამ ხელი უფრო „პიონერზე“ კოლექტიურად.

პიონერი! შენ არ ხარ უფრო. „პიონერის“ ამხანაგი, თუ შენს გარდა კიდევ ხელი არ მოაწერიან ორ შენ ამხანაგსაც.

საკრებულო დარბაზის კაპე იყო გაკრული ფართე ასობით დაწყებული დიდგანცხადება: ყველამ წაიკითხეთ, ამხანაგებო. უფრო „პიონერი“, ორკვირული ორგანო, იბრძვის კლასიური მტრების, ჩამორჩენილობის და ჩვეულებების და ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც ეწინააღმდეგება პარტიის გენერალურ ხაზს, ახალი სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის და ბავშვთა კომორგანიზაციის მოძრაობის პრიციპებს.

საღამოს 7 საათზე, დღის წესრიგის გამოცხადების შემდეგ, მთელი პიონერკოლექტივის კრება სულგანაბული ისმენდა მოხსენას უფრო „პიონერი“-ს მნიშვნელობისა, ამოცანების და გავრცელების საკითხებზე, მომხსენებელ გვიგის მსმენელები მოუთმენელი ტავით აწყვეტინებდნ მოხსენების საინტერესო ადგილებს.

არ გასულა 5 დღე, რომ სახელგამის პერიოდსექტორის გამგე ქუდმოგლეჯილი მოვარდა „პიონერი“-ს რედაქციაში და თხოულობდა უფრონალის ტირაჟის მომატებას და ხელმომწერის მიღებისათვის კიდევ ერთ დამხმარე კაცს.



ქ. ტფილისი. რუსთაველის გამზირი № 30 სახელგამი პერიოდ სექტორი უ. „პიონერი“

რედაქციის შენიშვნა: რედაქცია უფრონალის მომავალ ნომერში გამოაქვეყნებს პიონერ გვიგის წერილებს უფრონალის რედაქციისადმი და იქ მკითხველი უფრონალოდ გაეცნობა, და დაინახავს როგორ დაუმეგობრდა რედაქციას პიონერი გვიგ, როგორ გახდა კორესპონდენტი და რა დახმარებას უწევს მას უფრონალი „პიონერი“.



სვანეთი



სვანეთი

ამხანაგო  
პიონერებო

იკითხეთ

და

გსაუბრებლეთ  
თქვენი უფრონალი

„პიონერი“


სარედაქციო კოლეგია

ტიქუნოკური

მიზეზების გამო

უფრონალის ამ ნომერს

დაავგვიანდა





# ფერმერი Xივისი და ზრახვორი „ფორდზონი“

ბილ ჯიბსი მიჩიგანის შტატში (ამერიკა-ში) ცხოვრობდა, პატარა ფიცრულ სახლში, რკინის გზის მახლობლად. როდესაც გამოწავლულა, ჯიბსმა სახლისი მონახა; წამთარში სახლისი დაუნაგულიყო, მაგრამ ჯერ კიდევ ვარგოდა სამუშაოდ. რა ჰქნას ჯიბსმა, ცხენი წამთარში მოუყვდა უჭმელობით, რით მოხნას პატარა ნაკვეთი, მისტერ გოპკინსისგან რომ აიღო იჯარით?

ვთესავ ჩემს ყანას, შვილები შიმშილით დამეხოცებიან. კარგი... სხვა გამოსავალი არა მაქვს... თანახმა ვარ...  
ორი დღის შემდეგ ჯიბსმა მიიღო ტრაქტორი „ფორდზონი“ და სათესლე ხორბალი.  
როდესაც ტრაქტორის მართავდა და ერთსა-და იმავე დროს ოთხი ხნული გაჰყავდა, ბილ ჯიბსი ითვლიდა და ფიქრობდა:

ხნიდა თავის ორ ფედან\*) მიწას და მოჰყავდა ბამბა.  
პური ეგვიტში თითქმის არ მოჰყავთ, ის საზღვარ-გარეთიდან შემოაქვთ, სამაგიეროდ კი ბამბა გააქვთ. რომ ეყიდა პური და შეეტანა გადასახადი, სააღ-ქემალმა ისეხსა სოფელელ მდიდარ წამგულასაგან ცოტადენი ფული და ალუთქვა —ვალს გადაგიხდი, როდესაც ბამბას მოვკრეფო. მაგრამ იმ წელს ცუდი მოსავალი იყო, ბამბა ძალზე ცოტა მოვიდა, და წაგულუმა სააღ-ქემალს ვალში ყანა წაართვა.



მაშინ სააღ-ქემალი მუშად დადგა ინგლისური ამხანაგობის „ბრიჯ ბრიჯდა აშ.“ ბამბის პლანტაციებზე.  
როდესაც დადგა ბამბის თესვის დრო, მე-თველურებმა გაიღენეს სააღ-ქემალი, და-თას სხვა ფელესთან ერთად, პლანტაციები-საკენ.

დილაღრიან იწყებდენ ფელახები მუშაობას და დაღამებამდე ოფლსა ღვრიდენ პლანტაციებში. სასოფლო - სამეურნეო მანქანები „ბრიჯ-ბრიჯ და ამხანაგობა“-ს თითქმის არ ჰქონდა: პლანტაციაში მომუშავე გლეხები ისე მცირე ხელფასს იღებდენ, რომ ტრაქტორებით დამუშავება უფრო ძვირი დაუჯდებოდათ.

სააღ-ქემალი და მისი ამხანაგები თოხნიდენ მიწას, მეტავალურენი კი მათ თავზე აღდენ, რომ ფელესებს ერთი წუთიც არ გაეცდიანთ.

— ეი,შენ, ეგვიტურო ჭიაო! —დაუყვირა ქემალს მეტავალურე კრიკლმა, —გაინძერი, რას ჩამორჩი სხვებს. თუ წანტობა დაიწყე, ისე შეგახურებ, რომ დიდხანს გახსოვდეს.

— დავიღალე —მიუგო საღ-ქემალმა. — ერთი წუთი დამასვენეთ... მაგრამ პასუხის ნაცვლად კირკლმა სახრე მოუქნია. სააღი წელში გასწორდა და გაბრაზებულმა მოუღერა თოხი. კირკელი გახტა განზე და იძრო რევოლვერი.

— ვაი, თესვა არ იყო, მე ვიცოდი: აქვე ჩაგაძლივდი; მაგრამ ახლა გვჭირდება მუშები. შეუდგეკი მუშაობას! როდესაც თესვა გათავდება, მაშინ გამოგისწორებები.

სააღ-ქემალმა დალუნა თავი და განაგრძო ნოყიერი შავი მიწის თოხნა.

\* ფედანი —ნახევარი ჰექტარზე ცოტა მეტია.

მზე კი უხვად ჰგზავნიდა თავის სხივებს, და შავი, ნოყიერი მიწა ელოდა მოხვნას და მოთესვას.  
რა დათესოს ჯიბსმა—მას სათესლე არ აქვს. ვერ იყიდა. მართალია, შემოდგომამდე ორიოდ გროშს მოუყარა თავი და ბანკში შეინახა შავი დღისათვის, მაგრამ ბანკი გაკოტრდა, და მენახარებმა კაპეიკიც ვერ მიიღეს.

— მაშ შიმშილით უნდა მოვკვდე? — წამოიძახა ჯიბსმა და სახლის ფეხი ჰკრა, შემდეგ კი ნელ-ნელა გახწია სახლისაკენ.

გზაზე ავტომობილის საყვირის ხმა გაისმა. ჰიშკართან გაჩერდა პატარა „ფორდი“, საიდანაც გადმოვიდა ვიღაც მსუქანი კაცი.

— ალო! —დაიყვირა უცნობმა. — აქ ცხოვრობს მისტერ ბილ ჯიბსი?

— მე ვარ, —მკვახედ უპასუხა ჯიბსმა. — რა გნებავთ?

— მე მისტერ გოპკინსის აგენტი ვარ. ამბობენ, თქვენ თურმე ცხენი მოგკვდომიათ და თესლიც არ გქონიათ. მისტერ გოპკინსს სურს დაგეხმაროს. მოდი, ასე შევთანხმდეთ: თქვენ იჯარით მიიღებთ ტრაქტორს და თესლს, ხოლო როდესაც მოსავალს მოიწვევთ, ნახევარს მისტერ გოპკინსს მისცემთ. თანახმა ხართ;

— ნახევარს? მე რაღა დამრჩება? მიწის იჯარაში ხომ მოსავლის მეოთხედს ვაძლევ მისტერ გოპკინსს. ნახევარიც რომ ტრაქტორსა და თესლში მივცე, რაღა ვაჭამო ცოლ-შვილს?!

— რა იზამ, —გაიციანა აგენტმა. —ახლა ხორბალი ძალიან გაიფდა. მისტერ გოპკინსისთვის ხელსაყრელი არაა უფრო იაფად მოგცეთ ტრაქტორი და სათესლე ხორბალი. არ გინდათ და ნუ გინდათ. მშვიდობით! და აგენტი გაემართა ავტომობილისაკენ.

— მოიცადეთ, —მიიძახა ბილ ჯიბსმა, — მოიცადეთ!

მისტერ გოპკინსმა იცის, რომ, თუ არ და-

— ერთი, ორი, სამი ხნული —გოპკინსისთვის; ერთი —ჩემთვის ერთი, ორი, სამი—გოპკინსისთვის, კიდევ ერთი —ჩემთვის...

აბა რა უნდა ექნა ფერმერ ბილ ჯიბსს, რომელსაც არ ჰქონდა არც მიწა, არც თესლი, არც ტრაქტორი, ყველაფერი ეს კი მისტერ გოპკინსს ჰქონდა...


### საბუღ - მამალის თოხნი.

მდინარე ნილოსის ნაპირებზე მშვენიერი შავი მიწაა. აქ იზრდება ეგვიტური მშვენიერი ბამბა და შაქრის ლერწამი. ბამბა და ლერწამი ინგლისელებს ეკუთვნის, მინდვრებში კი ეგვიტებს გლეხები —ფელახები — მუშაობენ.

რამოდენიმე წლის წინად სააღ-ქემალს ჰქონდა თავისი პატარა ყანა; ის ცხოვრობდა პატარა სოფელში, ნილოსის ველზე, თო-








# გიგა უქმაძის საზაფხულო განსვლები

გაზაფხულმა გზები აათალახა;  
მზე სხივებით მედგრად ებრძვის სიხველს.  
გიგას გულმა მაყრული შემოსძახა,  
აცუღლუბდა გიგა, ვეღარ იხვენებს.

ქარხანაში ტემპი მეტად შენეღდა,  
და გარდვევამ იქ დაიწყო თარეში.  
მუშაობას გიგამ თავი ანება,  
და ცელქობდა ბუნების სიმწვანეში.



გიგას კლასში ატყდა აურზაური—  
გიგას წერილს კითხულობს გიგაური:  
„რემ თავს მივეც ზაფხულის შვებულება,  
რადგან ძლიერ მჭირდება დასვენება“.

და ოცნებობს გიგა, გიგა უქმაძე:  
— გავსუქდები ისე, ვით თათქარიძე;  
ლოყა მინდა მეჭნეს წითლად ფერილი,  
და მუცელიც — მისებრ გამოზერილი!

გიგას რაზმში შემავალი ბავშვები  
საბანაკოდ გაემართენ მთლიანად,  
კოლმეურნეთ ამოუდგენ მხარდამხარ,  
მუშაობდენ ზალისით, გულიანად.



როს ესტუმრა თავიგულით რაზმს გიგა,  
მათ სიცილით მოიოხეს მთლად გული:  
— შრომისა და დასვენების დროს არის,  
დაიხსოვე, „ბრძენო“ გიგა, ზაფხული!

შ. თ—ლი.

